40
974



# პიონერი

11
1974



ვ. ი. ლენინი.

გრავიურა. მხატვარი ლ. ხაილოვი.

# ნოემბრის ქარში



**მზია ჩხეტიანი**

ოქროს ფოთოლი ირევა ქარში,
ნოემბრის ქარში —
დროშების ქარში,
ქუხს საზეიმო ვაშა და ტაში,
რა დიადია ეს გარიჟრაჟი!
რა ლამაზია დღეს შენი ქუჩა,
ნაცნობი სახლი,
ნაცნობი შარა,
მხრებზე გაყრია
მზე ბლუჯა-ბლუჯა,
ნოემბრის დილამ რომ ჩაგიღვარა.

გული ლხენით და
ხალისით გიცემს,
წითელი დროშა
გიჭირავს მტკიცედ.
ტოლებს მხარდამხარ
მიჰყვები ფრენით,
ამ დილას
შენი ღიმილიც შვენის.
ამ დილას
შენი ოცნებაც შვენის,
რა უცნაურად გიბრწყინავს თვალი!

აჰა,
გაფრინდა ქურანა ცხენი
და შემართული აენთო ხმალი —
ჯარისკაცი ხარ,
ბავშვი კი არა!
გშვენის ვარსკვლავი წითელარმიელს,
ყიჟინებ,
ჰკაფავ ომახიანად,
თეთრების რკალი მხნედ გაარღვიე.
— ვაშა! — გუგუნებს წითელი რაზმი,
ვაშა! —
მოედეთ გადამშლილ ტრამალს, —
ნოემბრის შუქი,
ლენინის აზრი
ხალხს უნათებდეს გზასა და სავალს.
ოქტომბრის მზეში წამოჩიტულებს —
ჩვენს კარგ გოგონებს,
ჩვენს კარგ ბიჭუნებს
გსურთ
საქმით,

ფიქრით
და გატაცებით
იყოთ სიმართლის ჯარისკაცები!
ოქროს ფოთოლი ირევა ქარში,
ნოემბრის ქარში —
მეწამულ ქარში;
ქუხს საზეიმო ვაშა და ტაში,
რა დიადია ეს გარიჟრაჟი!
რა საამოა ეს გაჟრჟოლება,
მზეც ოქროს ფუნჯით
შენს გზა-კვალს ხატავს,
სამშობლოს
შენ და შენი ტოლები
დღეს საზეიმოდ აბარებთ პატაკს!
თქვენი გამრჯელი ხელების მადლი
ჩვენს ზვრებს და ყანებს
სიკეთედ დასდის,
თქვენი სიმღერა ასულა ცამდის
და ჩვენს სიცოცხლეს
სინათლით ბარდნის.
დიდება თქვენდა!
ჩვენ თქვენი გვჯერა!
სამშობლოს სჯერა,
ჩვენს დიდ ხალხს სჯერა.
და დავკანკალებთ თქვენს ნათელ
დღეებს —
ზღაპარზე უფრო
ლამაზს და ფერადს!




პიონერი
11
ოქტომბერი
1974
საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის და ვ. ი. ლენინის სახელობის
[illegible] პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი
გამოდის 1926 წლიდან
საქ. კპ ცკ-ის
გამომცემლობა

# ყურადღება



# «სალუტი, გამარჯვება!»

ბავშვებო, ცხადია, თითოეულმა თქვენგანმა იცის, რომ აგვისტოში, არტეკში ჩატარდა პიონერთა VI საკავშირო შეკრება. ამ შეკრებაზე სტარტი მიეცა პიონერული მარშის „მზად ვარ" ახალ ეტაპს — „სალუტი, გამარჯვება!" იგი ეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს, რომელსაც გაისად, მაისში, იზეიმებს ჩვენი ქვეყანა.

საბჭოთა ქვეყანა ამ დიდ გამარჯვებას ვერ მოიპოვებდა, რომ ჩვენ არ გვყოლოდა ბრძოლებში ნაცადი, სამშობლოსათვის თავდადებული გმირული საბჭოთა არმია—ჩვენი ხალხის სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი!

ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების ოცდამეათე წლისთავის აღსანიშნავად ჟურნალი „პიონერი", საქ. ალკკ ცკ-თან არსებულ საბჭოთა ხალხის საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებში ლაშქრობის რესპუბლიკურ შტაბთან, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთ „ლენინსკოე ზნამია" და რესპუბლიკის ომის ვეტერანთა საბჭოსთან ერთად ატარებს ვიქტორინა—კონკურსს.

რედაქციასთან შექმნილია შტაბი. შტაბში შედიან საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-ლეიტენანტი ვ. ნანეიშვილი (თავმჯდომარე), საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ო. სიამაშვილი, მაიორი ს. სავჩუკი (გაზეთი „ლენინსკოე ზნამია"), პოლკოვნიკი ი. კეზერაშვილი (ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მუზეუმის უფროსი), ჟურნალ „პიონერის" პ/მდივანი ზ. ლეშკაშელი.

ვიქტორინა—კონკურსი ჩატარდება ოთხ ეტაპად:

I ეტაპის კითხვები ქვეყნდება ამავე ნომერში;

II ეტაპის კითხვები გამოქვეყნდება მიმდინარე წლის XII ნომერში;

III ეტაპის კითხვები — 1975 წლის იანვრის ნომერში;

IV ეტაპის კითხვები — 1975 წლის თებერვლის ნომერში.

სასურველია, კონკურსის მონაწილემ პასუხი გასცეს ოთხივე ეტაპის კითხვებს და შეასრულოს ერთი, ყველა მონაწილისათვის სავალდებულო დავალება — ჩაიწეროს და გამოგზავნოს ომის ვეტერანის მოგონება.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება როგორც ერთპიროვნულად, ასევე ჯგუფურად (რაზმი, რგოლი).

გამარჯვებულად ჩაითვლებიან ისინი, ვინც ყველაზე მეტ კითხვებზე გასცემენ მოკლე, ზუსტ პასუხს.

## ისმინოს „პიონერის" ყველა მკითხველმა
## ცხადდება
## ვიქტორინა-კონკურსი



# ყურადღება



## „ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავი"

პასუხების გამოგზავნას ნუ დააგვიანებთ, ყველა ეტაპის პასუხი გამოგზავნეთ ცალ-ცალკე. ვიქტორინა—კონკურსის მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1975 წლის 30 მარტი.

კონკურსში მონაწილეთაგან შეირჩევა ათი გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდებიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით, ფასიანი საჩუქრებით და მოიწვევიან ზეიმზე.

კონკურსში გამარჯვებულთა გვარებსა და ფოტოსურათებს გამოვაქვეყნებთ 1975 წლის მაისში — გამარჯვების 30 წლისთავისადმი მიძღვნილ ნომერში.

მასალები გამოგზავნეთ მისამართით: თბილისი, ინდექსი 380008, ლენინის ქ. № 14, „პიონერი", ვიქტორინა—კონკურსი.

მაშ ასე, გიწვევთ ჩვენს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად! ვიმედოვნებთ, ყოველი თქვენგანი საპატიო მოვალეობად ჩათვლის ამ კონკურს—ვიქტორინაში მონაწილეობას და ხალისით ჩაებმება მასში.

### კითხვები კონკურს-ვიქტორინისათვის

1. როდის და ვისი ინიციატივით შეიქმნა მუშურ-გლეხური წითელი არმია?
2. დაასახელეთ წითელი არმიის გადამწყვეტი ბრძოლები სამოქალაქო ომის პერიოდში.
3. დაგვისახელეთ წითელი არმიის პირველი გამოჩენილი მხედართმთავრები.
4. რომელი არმიული გაერთიანება გახდა საფუძველი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შექმნისა? ვინ იყვნენ ამ არმიის პირველი სარდლები?.
5. როდის დაიწყო და როდის დამთავრდა დიდი სამამულო ომი?
6. რომელი ყველაზე უფრო დიდი ბრძოლა მოხდა სამამულო ომის პირველ დღეებში, რომელმაც გმირული დიდება მოუტანა საბჭოთა არმიასა და ქალაქს, სადაც იგი მიმდინარეობდა? დაგვისახელეთ ამ ბრძოლების მონაწილე ჩვენი თანამემამულენი. რა წიგნები წაგიკითხავთ ამ ქალაქისა და ამ ბრძოლის შესახებ?
7. ომის დროს რომელმა ქართველმა პოეტმა რომელ ქართველ ოფიცერზე შექმნა ლექსი, რომელიც მალე პოპულარულ სიმღერად იქცა?
8. ჩამოთვალეთ დიდ სამამულო ომში საბჭოთა არმიის გადამწყვეტი ბრძოლები, რომელთაც ძირითადი გარდატეხა მოახდინეს ომის მსვლელობაში.





გამარჯვებულებს ელით სიგელები და ჯილდოები!





# წითელი ხაზი

გიორგი ხორგუაშვილი მოთხრობა მხატვარი ზ. მეძმარიაშვილი.

ერთხელ, მგონი მესამე კლასში, დიმო ისტორიაში ჰყვებოდა გაკვეთილს. მშვენივრად აეწყო სათქმელი. მე შენ გეტყვი, უაზროდ დაიზუთხავდა ზოგ-ზოგივით, მაგრამ უცებ დაიოჩნა, „კავკასიის ხალხების“ თქმა გაუჭირდა. გარეთ, გაზაფხულის მზვარეში, მეზობელ მაშიას ინდაურები კავკავებდნენ — „კავ-კავ-კავ-კავ!“ უბანებდნენ ჩიჩახვჩამოშვებული მამალი ინდაურები. „კავ-კავ-კავ-კავ-სიონი“ — ბუქსაობდა თავჩახრილი დიმო. გვეცინებოდა მოსწავლეებს, მასწავლებელიც ვერ იოკებდა ირიბ ღიმილს და ჩვენლა გვიწყრებოდა: მოუსმინეთო. ასე დაემართა გეოგრაფიის გაკვეთილზეც. უზბეკეთის დედაქალაქის სახელწოდების თქმისას ეგრე წამოედო ენა, როგორც სახნისი ფესვებლონიერ ჯირკს წამოედება ჯირკვნარში, და კარგა ხანს იბრძოდა გასაკვეთად. „ტაშ-ტაშ-ტაშ-ტაშ-კენტი“ — ძლივს გაიკვლია გზა.

„ტაშ-ტაშ-ტაშ-ტაში, ბიჭო!“ — შეუბანა ღოღნოშო ანზორამ და აგვიტყდა სიცილი.

ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა, მაგრამ დიმო მაინც თაკილობდა. ამჯობინებდა სულაც არ გაეღო ხმა. ამის გამო ნიშანი აკლდებოდა.

გალაქტიონ მასწავლებელი კი აინუნშიაც არ აგდებდა დიმოს ხამუშ-ხამუშ წაბორძიკებას, მოსწონდა მისი გააზრებით დასწავლა გაკვეთილისა, ახალისებდა და აქებდა, თანდათან მიაჩვია გაბედულ მოყოლას. ბოლოს კი ისე მოაქცია თავისკენ, რომ ალგებრის ამოცანების ამოხსნაზე მეტად ისტორიის გაკვეთილის დასწავლა და მოყოლა ახალისებდა.

ჰოდა, ალბათ ამიტომ, გალაქტიონ მასწავლებელი მეტ სითბოს იჩენდა დიმოსადმი.

ერთხელ კი გალაქტიონ მასწავლებელმა ჩრდილი დასცა გულზე დიმოს.

გაკვეთილის მოსაყოლად გაიძახა.

დიმო ზლაზვნით მივიდა დაფასთან, რომელზეც ძველი ეგვიპტის რუკა ეკიდა.

— აბა, დაიწყე, დიმიტრი ბატონო!

ძველი ეგვიპტის კულტურაზე უნდა მოეთხრო.

დიმოს გონებას თითქმის უკლებლივ ჩაეთესა გალაქტიონ მასწავლებლის სიტყვები, წინა გაკვეთილზე რომ მოესმინა ახსნისას, და გულგასახარად მოჰყვა.

— ყოჩაღ, დიმიტრი! — სითბო და ხალისი მომატებოდა მასწავლებლის თვალებს.

დიმოს კმაყოფილების ღიმილმა გადაუთამაშა სახეზე.

— სახელმძღვანელო ხომ არ იშოვე?!

— არა, მასწავლებელო!

ძველი მსოფლიოს ისტორიის სახელმძღვანელო არავის ებადა მთელ კლასში. დაბეჭდილიც არ ყოფილიყო იმხანად.

— სასიამოვნოა!.. აი, ასე უნდა!

დიმო თავჩაღუნული ისმენდა გალაქტიონ მასწავლებლის ქებას.

მეორე დღეს დიმოს შემოეხვივნენ უფროსი კლასის მოსწავლეები, „დიდ ბიჭებს“ რომ ვეძახდით, და:

— ჰაა, დიმო, შენა ხარ ბიჭი, გალაქტიონ მასწავლებლის ახსნილს რომ ჩუმ-ჩუმად იწერ ხოლმე?

დიმომ შეიცხადა.

— გამოტყდი, დიმო, სირცხვილი კი არ არის!

— რაში მჭირდებოდა? — სწყინდა დიმოს.

— რომ კარგად გესწავლა და კაი მოსწავლის სახელი დაგეგდო.

— აზრადაც არ მომსვლია ეგეთი რამ.

— მაშ ტყუილს ამბობს ჩვენი დირექტორი?!

გალაქტიონ მასწავლებელს მეათეკლასელებისათვის ეთქვა — ეგვიპტის კულტურაზე რომ ვსაუბრობდი, დიმო ჩუმად იწერდა გაკვეთილს და იმიტომ მოჰყვა ასე კარგადო.

— გალაქტიონ მასწავლებლის ტყუილი როგორ შეიძლება, მაგრამ არც მე გეუბნებით სიცრუეს. ერთი სიტყვაც კი არ ჩამიწერია.

 გაგრძელება იხ. „პიონერი“ № 10.

— ჰმ, ჰმ, ეგეთები არ იყოს, დუდღუნა დიმო!

დიმო ამაოდ იფიცებოდა დედას. მაგრამ ვინ იქნებოდა, რომ გალაქტიონ მასწავლებლის ნათქვამი არ ერწმუნებინა და დიმოსნაირი ღლაპის სიტყვა დაეჯერებინა.

დიმოს ძალიან სწყინდა ეს ამბავი.

— ეგეთი უტვინო ვარ, გალაქტიონ მასწავლებლის ნაამბობი ვერ დავიმახსოვრო და ისიც ისტორიაში?!

წყენა ვეღარ დაიმწყვდია გულში და მორიდებული საყვედური შებედა გალაქტიონ მასწავლებელს.

— რას ამბობ?! მართლა?! მე მეგონა, თავჩაღუნული რომ იჯექი, გაკვეთილს იწერდი.

— არა, პატივცემულო მასწავლებელო, არაფერი ჩამიწერია!

— ნიჭი გქონია, დიმიტრი, ნიჭი! ნიჭი ყველა თქვენგანს აქვს, ჩემო პატარა მეგობრებო, მაგრამ ზოგჯერ დაუდევრად ვექცევით. ნიჭს დიდი შრომა და პატრონობა უნდა! — გვარიგებდა გალაქტიონ მასწავლებელი. ჩვენი ნიჭიერებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გალაქტიონ მასწავლებელი რომ ცხადლივ თუ ფარულად პატრონობას გვიწევდა, მერე მივხვდი, ჭკუაში ჩავარდნილი, და ეს არასოდეს ამოიშლება გულიდან.

არც საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო გაგვაჩნდა. შემოდგომის მიწურულს გამოსულიყო. გალაქტიონ მასწავლებელმა გაგვაფრთხილა — წიგნი მალე გამოჩნდება და თვალყური ადევნეთო. გავლაზე თუ გამოვლაზე შევივლიდით ჩვენი სოფლის მაღაზიაში, ტურაანთ ვანუას სარდაფში რომ იყო მოთავსებული, და გამყიდველს შევეკითხებოდით სათითაოდ:

„გრიშა ძია, საქართველოს ისტორიის წიგნი არ მოსულა?“

„ჯერ არ მიგვიღია“.

ვიწყენდით და გამოვბრუნდებოდით.

ერთი და იგივე კითხვით გაბეზრებული გვყავდა გამყიდველი და მერე სულ აგვიკრძალა „უსაქმოდ“ მისვლა.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვეპუებოდით. ფეხაკრეფით შევიდოდით მაღაზიაში, თვალები გვადნებოდა იმ პატარა დახლზე თვალიერებით, სადაც წიგნები და სასწავლო ნივთები გვეგულებოდა. მაგრამ არა და არ ჩანდა სასურველ-სანატრელი წიგნი...

ბედი არ გინდა! სწორედ იმ დღეს გაყიდულიყო, მე რომ დედამ ხიდისთავში გამგზავნა მამიდაჩემთან.

დიმოც მშრალზე დარჩენილიყო.

უმალვე გავქანდით მაღაზიისკენ და:

„გრიშა ძია, — „საქართველოს ისტორია“ აღარა გაქვთ?!“

„ის გუშინ დავარიგეთ, სად გეძინათ აქამდე!“

გაფითრებულები გამოვბრუნდით.

რარიგ გვწყდებოდა გული, ჩვენკლასელები რომ თვალისცეცებით ფურცლავდნენ ახალ წიგნებს, წითელ ყდაზე სათუთად აკრავდნენ თეთრ, პრიალა ქაღალდს, არ გაგვიჭუჭყიანდესო, და თავიანთ გვარ-სახელსაც აწერდნენ

„თქვენ რაო, არ შეგიძენიათ, ყმაწვილებო?!“ — იკითხა გალაქტიონ მასწავლებელმა.

„არა!“ — შუბლშეკვრით მივუგეთ.

„რატომ?“

„აღარ შეგვხვდა“.

„დასხედით!“ — და ფიქრიანად შეგვათვალიერა.

ორი დღის მერე შუქომ გაგვიცალკევა მე და დიმო.

„უნდა გაგახაროთ, ბიჭებო!“

თვალები გაგვიფართოვდა.

გასქელებული ჩანთიდან წითელყდიანი წიგნები ამოაცურა, ორივე ხელში დაითითოვა და:

„ეს—შენ, ეს—შენ!“ — ღიმილით გამოგვიწოდა.

სულწასულებივით წავწვდით. სიხარულით შევიკუნტრუშეთ და კოცნით გადავუხადეთ მადლობა.

„მე არა, მამამ გაჩუქათ!“

შუქოს მამის ნაჩუქარი წიგნი ახლაც სათუთად მაქვს შენახული. სიამოვნებით გადავშლი ხოლმე და გული ამითრთოლდება. ეგ კია, პატარა უხერხულობას ვგრძნობ, რომ შიგადაშიგ ჩემი ჩანაწერ-ჩანახატ-ჩანაჯღაბნი გამომიყოფენ ხოლმე ენას.

მაღლაკელიძეები დიმოს მახლობლად ბინადრობდნენ, მისი გარეთა ბიძის სახლში. ახლო მცხოვრებ მოსწავლედ ითვლებოდა და საქმიანობისა თუ დაუზარელი ხასიათის გამო ოჯახის წევრივით ჰყავდათ მიჩვეული. დიმოც ხალისით უწევდა მორბედობას.

„დიმო, დედა გეძახის!“ — გადასძახებდა შუქო აივნიდან.

დიმო უმალვე მიძუნძულდებოდა.

„დიმო, წყალზე წაყევი შუქოს...“

„წამოვიდეს!“

შუქო გამოიტანდა ორ კოკურას. დიმოს დიდს შესთავაზებდა, პატარას თვითონ დაიტოვებდა და ხალისით გაუყვებოდნენ წყაროს გზას.

„დიმო, მაღაზიაში წავიდეთ!“

მაღაზიაშიც დაუზარებლად გაჰყვებოდა.

„დიმო, რძე გვაქვს მოსატანი“.

რძეზეც გაჰყვებოდა.

გაკვეთილებსაც ერთად ამზადებდნენ.

შუქოც ტანადი გოგონა იყო. ბევრად არ ჩამოუვარდებოდა დიმოს არც სიმაღლეში, არც სისრულეში და, როცა სამერხებოდ დაგვაწყვილეს, შუქო და დიმო ერთად დასხეს. მას მერე არც მოუშორებიათ ერთურთისათვის.

მარტო დიმო კი არა, მთელი კლასი, სკოლა, სოფელი ხალისიანი თვალით უცქეროდა მაღლაკელიძეანთ ოჯახს. თავად მადლიერნი იყვნენ დიდისაც და პატარისაც. გალაქტიონ მასწავლებელი, თურმე, იტყოდა: ჩვენს დალოცვილ მიწა-წყალზე კარგ სოფელსა და კარგ ხალხს რა გამოლევს. სხვაგანაც ბევრგან ვყოფილვარ და მიმუშავია კიდეც, მაგრამ დიდმარანას ვერცერთი სოფელი ვერ დაედრებაო. მიწა გინდა, ჰაერი გინდა, წყალი გინდა, ყველაფერი უმშვენიერესი და უგემრიელესიაო. რაც მთავარია, ხალხია მშვენიერი, ხალხი. თუ ზოგ-ზოგები ბეწვივით გულს აურევენ კაცსა, ეგეც არაფერია, თვითონ ცხოვრება გადაასხამს სიკეთის წყალსა ასეთ უკეთურადამიანებსო.

ამბობდნენ: გალაქტიონ მასწავლებელი სასახლკარეს იღებს ჩვენს სოფელში და სამუდამოდ დასახლებას აპირებსო.

გვიხაროდა.

შუქოსაგან ვიცოდით, რომ მამამისი უმაღლესის უმაღლესში სწავლობდა დაუსწრებლად. ყური გვქონდა მოკრული, რომ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა. რაღაცა დიდი წიგნი დაუწერია და დასაბეჭდად ამზადებენო. ერთხანს ხმა დაარხიეს: ენიმკის განყოფილებაში გადაჰყავთო. „ენიმკი“ რა იყო, ორიოდე კაცს თუ ეცოდინებოდა მთელ სოფელში, მაგრამ იმას კი ვხვდებოდით,

რომ რაღაც დიდი დაწესებულება თუ სასწავლებელი უნდა ყოფილიყო, სადაც მხოლოდ მეცნიერებს აქვთ შესვლის და მუშაობის უფლება. გავიგეთ და გულზე ჩრდილი დაგვეცა. გვენანებოდა გალაქტიონ მასწავლებელიც, ცუცა მასწავლებელიც, უფრო მეტად კი შუქო. არ გამართლდა ეს მითქმა-მოთქმა. მერე თქვეს, უნივერსიტეტში უნდა გადაიყვანონ ჩვენი დირექტორი და მასწავლებელთა მასწავლებელი უნდა გახადონო. მაშინაც დაგვეცა გულზე ჩრდილი.

ისიც მალე გადაგვეყარა.

მაგრამ შუქოს მამამ მაინც დაგვწყვიტა გული.

შუქოს მამამ კი არა, სხვამ...

გალაქტიონ მასწავლებელსაც ჩააცვეს ჯარისკაცის ფარაჯა.

შუქო ამბობდა, თვითონ წავიდა ომში მოხალისედაო. ამბობდა და გული ემდუღრებოდა...

შუქოზე ნაკლებად არც ჩვენ ვიცრემლებოდით.

## 4. შენ დაუკა

ლხინის ხსენება აღარ იყო სოფელში. ვისა ჰქონდა საიმისო გული. ჭიდაობას კი ვერ შეელივნენ, მაინც იმართებოდა ყოველ შაბათ საღამოს.

სოფელი დაცლილი იყო ნამდვილი მოჭიდავეებისაგან. ბიჭბუჭებიღა ვბღლარძუნობდით. არავინ არაფრად გვაგდებდა „ძაღლის ლეკვებს“, მაგრამ მაყურებელი არ გვაკლდა მაინც. ისევ ისე ზიმზიმებდა საჭიდაო მოედანი, როგორც უწინ, ნამდვილი ფალავნების ჭიდაობისას.

საჭიდაო არენად „გალავანი“ გვქონდა ამოჩემებული. „გალავანს“ ვეძახდით თავად რევაზ ერისთავის ყოფილ კარ-მიდამოს, ოდესღაც რომ ქვის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ეს ადგილი სოფლის შუაგულად იყო მიჩნეული. ომამდე იქ იმართებოდა ლხინიც, სეირნობაც, მიტინგებიც და დღესასწაულებიც.

მოედნის შუაგულში ერთი კალოსტოლა ადგილი გვქონდა ჩათხრილი სამიოდე ციდის სიღრმეზე. თხრილში მშრალი ნახერხი ეყარა. გარშემო მოზრდილი ლოდები იყო შემომწკრივებული. ლოდები სკამებს მაგივრობდნენ. საპატიო მაყურებელთ თუ მოუწევდა იქ დაბრძანება (ასეთებად მოხუცები და ომიდან ნაადრევად დაბრუნებული ხეიბრები ითვლებოდნენ). ჩვენი, ყვინჩილა ბიჭების, საუკეთესო „დასაბრძანებლები“ დიდი კაკლის კენწეროები იყო. კაკალი საჭიდაოს გადაფაფრებოდა. ჭიდაობის დაწყებამდე კარგახნით ადრე ავცოცდებოდით ზედ, რომ უკეთესი ადგილი დაგვეკავებინა. ჭილყვავებივით მოვეფინებოდით და ზემოდან დავყურებდით საჭიდაოს.

მზე რომ გადაიწვერებოდა, მაშინ დადგებოდა ჭიდილის ჟამი.

ყველაზე ადრე „საჭიდაოს გამგე“, ჭიანა მიშა გაჩნდებოდა „გალავანში“. ჭიანა მიშას „შენ დაუკასაც“ ვეძახდით მეტსახელად. „შენ დაუკას“ მრავალი წლების სიმძიმე აწვა მტკაველა მხრებზე. ჩემი ხნისა ქვაც აღარა გორავსო, ხუმრობით იტყოდა ხოლმე. მისი კბილისანნი ომში ვაჟკაცობდნენ. მაგას კი ერთი მოპატიჟეც არ მისდგომია კარზე. ანდა ცოდვით როგორ უნდა დაეჭერინებინათ თოფი. ერთი გამჭკნარ-გაყვითლებული კაცი იყო, ყურებში შუქი გასდიოდა, შაშხანას ვერც კი მოურეოდა. ენა კი, გაგიხარიათ, ისეთი ჰქონდა, მთის მომგლეჯად მოგაჩვენებდათ თავსა. მხიარული და უდარდელა გახლდათ. სხვა საქმეში ღმერთს არ ექნა, მაგრამ ჭიდაობის თავკაცობაში წინ არავის წაიყენებდა. ანდა ვინა ჰყავდა მოცილე.

დიახ, საჭიდაოზე ის მოვიდოდა პირველი.

მერე მოჰყვებოდნენ სხვები, ვისაც ჭიდაობის ჟინით ეჭინჭრებოდათ ტანი.

არც დამკვრელები დაიგვიანებდნენ. თავიანთ ამოჩემებულ სიპ ქვებზე ჩამოსხდებოდნენ, ახმაური შალიკო ერთხელ კიდევ მოჭიმავდა გაფიცხებულ დოლის პირებსა და გამეტებით დააბრახუნებდა. ყურნაღალატევი სანდრია და ჩოფკა გიგო ზურნის ყამიშზე მოიბერავდნენ ლოყებსა და ყურისწამღებად დააწივლებდნენ. რაკი სოფელში დაკვრის ხმა გავარდებოდა, დიდი და პატარა საჭიდაოსკენ დაიძვრებოდა. უმთავრესად ბიჭბუჭებით გაივსებოდა მოედანი.

სოფელი ორად იყო გაყოფილი: გაღმაუბნად და გამოღმაუბნად. საჭიდაოზეც ეს ორი უბანი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას. ცოტანი თუ გვესტუმრებოდნენ მეზობელი სოფლებიდან.

გამოღმაუბნელები ვჩაგრავდით. თავს იმართლებდნენ: თქვენ ბევრი მოჭიდავეები გირევიათო. რაღაცა რიდით გამოდიოდნენ სარბიელზე.

იმ დღისით კი რიხით მოადგნენ მოედანს.

გრძელი ტრისტანა დაეყოლიებინათ საჭიდაოდ.

კაცმა რომ თქვას, გაღმაუბნელი არც იყო ტრისტანა, ძალად მიიტმასნეს.

ტრისტანა ქალაქელი ბიჭი გახლდათ. ომის დაწყების მერე დედულეთში გამოეგზავნა მარტოხელა დედას, სოფელში უფრო გაიტანს თავსაო. შარშანდელი სასწავლო წელიც აქ გაატარა. ჩვენს სკოლაში სწავლობდა. ერთი კლასით წინ იყო. საგაისოდაც აქ აპირებდა დარჩენას. ჩვენსავით მიეჩვია ფეხშიშველა სიარულსა, შეშის გუდურების აკიდებას, თოხის გამოსმას და მდინარეში ლივლივსა. მალე გასოფლელდა, მაგრამ ის ქალაქური ყოყლოჩინაობა და ხანდახან ტყუილ-ტრაბახიც ვერა და ვერ მოვაშლევინეთ.

— ჰოო, ბიჭებო და, — განს დაიგდებდა სკოლაში, — ისე მაგრად მიდიოდა ექვსი ნომერი ტრამვაი. რომ გაქანებული ელმავალი შემირცხვენია მასთან. რაღა გაჩერებამდე ჩავყოლოდი და იქიდან ფეხით მევლო ჩვენს სახლამდე, ვისკუპე და ისე გადმოვხტი, როგორც დუდღუნა დიმო გაჩერებული ურმიდან. გამომეკიდა მილიციელი, მაგრამ რას დამიჭერდა...

ჩვენც პირდაღებულები შევცქეროდით.

წახალისებული ტრისტანა ახლა იმას მოგვიყვებოდა, თუ მეშვიდეკლასელ თემო ბურდულს როგორ დაარტყა თავი და როგორ გაშხლართა მიწაზე.

— ვაახ, ვაახ! — გვიკვირდა.

ის მონაყოლი ამბავი ჩვენ არ გვენახა, მაგრამ ჭიდაობაში რომ მუხლმაგარი და ხერხიანი იყო, ამის მხილველნი თავად ვიყავით. შუასარმა ეხერხებოდა ძალიან. უცებ გამოჰკრავდა და ისე მოსხეპავდა მოჭიდავეს, რომ გონზე მოსვლას ვერც კი მოასწრებდა. ეგრე დამართა ამ გაზაფხულზე უფლისციხელ სოგრატას, წინასწარ რომ იკვეხნიდა პირველობის აღებას. სხვა „განთქმული“ მოჭიდავეებიც დაუცია ბეჭებზე.

ეგეც სოფლის მადლი იყო, მაგრამ ტრისტანას გულშემატკივრები ქალაქიდან თანმოყოლილ უნარად ასაღებდნენ. პატარაობიდანვე ღონიერი იყოო. პირველ კლასშივე იცოდაო ხერხები... მთელი ქალაქის სკოლების ჩემპიონად ითვლებოდაო, ცირკშიც უჭიდავიაო...

ჩვენც გულუბრყვილოდ ვიჯერებდით.

ეგრე რიხით მოიყვანეს საჭიდაოზე გაღმაუბნელებმა. წინასწარ გაახდევინეს ტანსაცმელი და მოშიშვლებული

დასვეს „საპატიო“ ქვაზე, თავიანთ ფალავნად გამოაცხადეს და მეტოქე მოიკითხეს.

გამოღმაუბნელები, ცოტა არ იყოს, დავფრთხით და ვიწრო თვალით გავხედავდით ხოლმე გაღმაუბნელების ფალავანს.

ჯერ ღლაპი მოჭიდავეები გამოჰყავდათ, იმათი ძიძგილაობით ართობდნენ მაყურებელს. მერე მოზრდილების ჯერი დადგა. მონამდვილო მოჭიდავეები ბოლოსთვის შემოიტოვეს.

სანახაობაც კარგა ხანია დაიწყო, მაგრამ გრძელი ტრისტანა ჯერ ისევ უჭიდავებელი იყო.

— ჰაა, რომელი გამოგყავთ!

— თუ ისეთი არავინ გეგულებათ, თქვით, სირცხვილი კი არ არის!

— ისეთი კი არავინ დასჭიდოთ, რომ უცაბედად შემოაკვდეს! — დაცინვით გვთხოვდნენ გაღმაუბნელები.

ჩვენი ფალავანი დუდღუნა დიმო იყო.

— რას იტყვი, დიმო, ვერ შებედავ? — წინ წაუდგა ღოღნოშო ანზორა.

— ჯერ შენ დაეჭიდე!

— მე სადა მაქვს მაგის ძარღვები.



— გაღმაუბნელების დასაცინი არ გაგვხადო, დიმო!

— თავი არ მოგვეჭრას, ბიჭო!

— მიდი, შებედე, გაჭირვების ტალკვესო! — ვეხვეწებოდით.

დიმომ დინჯად შეათვალიერა გაღმაუბნელების ფალავანი, კეფა მოიფხანა და:

— გამომიყვანეთ!

სიხარულის ტაში დავცხეთ.

— დიმო ეჭიდება გაღმაუბნელების ფალავანსა, დიმო! — უმალვე გავარდა ხმა და მთელი კრებული აყელყელავდა დიმოს დასანახად.

გაღმიუბნელი გულშემატკივრები შეიშმუშნენ. ტრისტანასაც დამცინავი ღიმილ გადაუთამაშდა სახეზე.

ჩვენ კი დიმოს მივეხვივენით:

— აბა, დიმო, შენ იცი!

— ერთი, შენებური მოგვერდით გაგვახარე!

— მიდი, მიდი, ერთი ლატანივით წამოიღე მაღლიდან ის გრძელი ტრისტანა!

დიმომ დინჯად გაიღიმა.

— ნუ გეშინიანთ, ბიჭებო, იმედს არ გაგიმტყუნებთ!

ჩვენც იმედიანად შევღიმეთ.

კვლავ ჭიჭყინებდა ზურნა, ბრახუნობდა დოლი.

ყოველი ახალი წყვილის გამოსვლაზე აყიჟინდებოდა უთვალავი მაყურებელი. პატარა წაბორძიკებაზეც კი იგრიალებდა ტაში, წაქცევისას ხომ დიდხანს არა ცხრებოდა.

ჯერი მიდგა „ფალავნებზე“.

დიმომ დინჯად გადააბიჯა წრეში და უდარდელად შეხედა მასზე ადრე გადასულ გრძელ ტრისტანას. თავი ჩაღუნა, თვალვიწროდ გასცქირა მეტოქეს და ბარაქიანად გაიღიმა. არხეინი ბიჭის შეხედულება ჰქონდა, ისეთი, თითქოს, გაიმარჯვებდა თუ დამარცხდებოდა, სულ ერთი იყო მისთვის. ალბათ, იმიტომაც არ მისდი-მოსდიოდა ფერფური სხვასავით.

მეტოქე კი ისეთ სახეს იჭერდა, თითქოს იქადნიდა, ეგრე რომ არაფად მიგაჩნივარ, დამაცადე, რა დღეში ჩაგაგდოო.

— აბა, ჩაიცვით! — საჭიდაო ჩოხები გადაუსროლეს მეტოქეებს.

დამხმარე ბიჭები ფიცხლად გადახტნენ წრეში და ჩოხები მოარგეს.

დიმო მაყურებლისაკენ იცქირებოდა და არც ამჯერად იშორებდა ღიმილს.

— რა გაღიმებს, დიმო? — გადასძახეს ბიჭებმა.

— სატირალი რა მაქვს?!

— როგორ, ეხუმრები ქალაქის ჩემპიონსა!

— შიშისაგან მეცინება.

— ჰაი, თუ ზღართანი მოგადენინა, მერე კიდევ გადმოყარე ეგ თოხა კბილები!

— წავიქცე რა, მეც ქვეყნიერების ფალავნობას დავკარგავ!

— ჩვენი ფალავანი შენა ხარ.

— ერთი რიგიანად დაბდღვენი! — ვაქეზებდით.

გაღმაუბნელები კი გრძელ ტრისტანას ამხნევებდნენ, დიმოს მუხლსა და სიმარჯვეს უარაფრებდნენ.

ჭიანა მიშამ სასტვენს ჩაჰბერა. ამით დაწყნარებისაკენ მოუწოდებდა აყიჟინებულ კრებულს. ჯერ ერთ ჩოხოსანთან მივიდა, მაჯაში წასწვდა, მაღლა აუწია ხელი და საზეიმო კილოთი დაიყვირა:

— ჭიდაობს გაღმაუბნელი გრძელი ტრისტანა, თბილისის ცირკში ნაჭიდავები!

ტრისტანამ ყარყარა ყელი მოიღერა.

ჭიანა მიშა ახლა დიმოს მაჯას წასწვდა და უფრო აუწია ხმას:



ეროვნული ბიბლიოთეკა



— და ჭიდაობს მურდალი ჯანის პატრონი დუდღუნა დიმო!.. შენ დაუკა!—ხელის აქნევითაც ანიშნა დამკვრელებს.

უცებ აბრახუნდა დოლი, უმალვე მიჰყვა ზურნის ჭიჭყინი.

მოჭიდავეებს აუთახთახდათ კუნთები, ხელი ჩამოართვეს და ერთმანეთს ეკვეთნენ.

დაიძაგრნენ. ჯერ ერთურთის ძალა მოსინჯეს, მერე შეტევაზე გადავიდნენ, ხან ერთი წაიფორხილებდა, ხან—მეორე. ყოველი წაბარბაცების, წაჩოქების თუ სხვა ილეთის ჩატარებაზე ერთი ღრიანცელი ატყდებოდა ხოლმე. თუ დიმო დასჩაგრავდა, გამოღმაუბნელები ავყიჟინდებოდით; თუ ქალაქელი ტრისტანა იმარიფათებდა, გაღმაუბნელებს დაუდგებოდათ ზეიმი. გულშემატკივრების გამამხნევებელ შეძახილზე კვლავ წაქეზდებოდნენ მოჭიდავეები და უფრო ცხარედ ეკვეთებოდნენ ერთურთს.

დიმოს გულიდან არ გადაჰყროდა ფარული შიში, რომელიც სხვათა ჩაგონებით უფრო გაუჩნდა, მართლა წაუქცეველ ვინმედ წარმოედგინა ქალაქელი ტრისტანა და მუხლი უკანკალებდა...

გრძელი ტრისტანა კი თამამობდა, თავმომწონე ერკემალივით შეეღერებინა კისერი და ისეთი რიხით მიდიოდა, თითქოს დიმოს დამარცხება მისთვის იოლი იყო. გასწორდა, თავის ხერხზე მივიდა, მაღალი კანჭი ამოაწნა დიმოს მსხვილ წვივს და მოულოდნელად მოსწია. რაკი ცალი ფეხი მიწას აუცილა, თეძოზე შეგდება გაუადვილდა, უცებ წამოიღო და ზღართანი მოადინა მშრალ ნახერხზე.

სტვენამ და ყიჟინამ იმძლავრა.

— არის, არის!

— ზურგზეა!

— ნაღდია! — იჭაჭებოდნენ გაღმაუბნელები.

ზურნასა და დოლსაც უცებ ჩაუკმინდეს ხმა, რაც იმის დასტური იყო, რომ დიმო ნამდვილად წაიქცა და მათი ჭიდაობა აღარ გაგრძელდებაო.

— არ არის!

— ზურგზე არ არის!

— ტყუილია! — ავყვირდით გამოღმაუბნელები და სახედაბრძენებულ მსაჯებს შევყურებდით. ისინიც დავობდნენ. ბოლოს, ულვაშიანმა კაცმა გაასავსავა ხელი, რითაც კრებულს ანიშნა, რომ ზურგზე არ იყო წაქცეული...

უფროსი მსაჯის ხელის გასავსავება საკმარისი იყო. ჭიანა მიშამ სასტვენს ჩაჰბერა. „შენ დაუკა!“—გაჭაჭვით მიაყოლა და ხელითაც ანიშნა დამკვრელებს.

ისევ აჭიჭყინდა ზურნა, ისევ აბრახუნდა დოლი..

მოჭიდავენი წამოიმართნენ და ხელმეორედ შეერკინენ ერთურთს, კვლავ დაიძაგრნენ დაღლილ-დაქანცულნი.

წათამამებულმა ტრისტანამ გაბედვით შეუტია დიმოს. ისევ შუასარმის გამოდება სურდა, მაგრამ დიმომ მუხლები ჩაუკეტა, აცდევინა, აიმედა, მოქანცა და მერე თვითონ შეუტია.

— დიმო გააფთრდა! — ვყვიროდით გახარებული გამოღმაუბნელები.

— ჰაი, თუ თავის ხერხზე მივიდა, მერე ნახე სეირი.

— მივა, მაშ რას იზამს! — ვაიმედებდით ერთურთს.

აჰა, მართლა გაიმართა ისე, როგორც თვითონ უნდოდა. მოგვერდი ეხერხებოდა.

— მიდი, მიდი!

— მაგრად მოსწიე.!

— შენია, დიმო, შენი! — ვაქეზებდით.

გრძელ ტრისტანას მუხლი შეშინებოდა და გან-განზე მიიწევდა.

— ნუ იფაფხები!

— ახლო მიდი!

— წელში აიმართე!

გრძელ ტრისტანას, ეტყობა, ნამუსმა აღარ გაუჭრა და ახლოს მივიდა მოწინააღმდეგესთან.

დიმომ სწორედ ამ დროს იმარჯვა. მოულოდნელად მოარტყა თეძო მუცელში, ბეჭებზე მოიქცია, თავის გემოზე შეისწორა, ღონივრად მოიქნია და ზევიდანვე დაუშვა გამეტებით, ზურგზე გაშხლართა და ღონივრად დააწვა მკერდზე.

გამოღმაუბნელებმა სტვენა და ყიჟინა ავტეხეთ, გაღმაუბნელებსაც უნებლიეთ წაუცდათ ხელი ტაშისათვის,

დამკვრელებმაც უცებ ჩააკმენდინეს ხმა დოლსა და ზურნას.

მსაჯებმაც ერთხმად ასწიეს ხელები და ისინიც საერთო ალტაცებას შეუერთდნენ.

— აუშვი, დიმო! — სიცილით შემოუტია „შენ დაუკამ“.

— წაქცეულია!

— ეყოფა! — ყვიროდნენ მსაჯებიც.

დიმო კი არავის უგდებდა ყურსა. გამეტებით აწვებოდა ქვეშ-მოქცეულს და ზედ დახვნეშოდა.

— კაი, დიმო!

— სული ხომ არ უნდა ამოჰხადო!

— გამარჯვებული ხარ! — კვლავ უყვიროდნენ.

დიმომ არც ამჯერად დაუჯერა არავის.

„შენდაუკა“ მივიდა და წკეპლა შემოჰკრა.

ახლა კი შეიბერტყა ყური დიმომ. წამოიმართა, ღონჯი შემოიყარა და ცივი ღიმილით დააშტერდა წაქცეულს.

— ადე, ბიჭო, ხომ არ წაგთვლიმა! — ნიშნის მოგებით ვუყვიროდით გრძელ ტრისტანას. ძლივს წამოიწია. დიმომ ხელი მიაშველა.



„შენდაუკამ“ მაჯაში ჩაავლო ხელი ჩვენს ფალავანს, მაღლა აუწია და დაიძახა:

— ორწუთნახევარში გაიმარჯვა დუდღუნა დიმომ.

გამარჯვებისა დასცხეს დოლს, აჭიჭყინდა ზურნა. კვლავ ავყიჟინდით ჩვენცა.

დიმო თამამად მივიდა დამარცხებულთან, ხელი ჩამოართვა და გადაჰკოცნა კიდეც. ტრისტანას არც ხელი გაუნძრევია და არც ტუჩი.

— არ გეწყინოს, ტრისტან, ჩემი ბრალი არ არის! — წასჩურჩულა დიმომ.

ქალაქელმა ტრისტანამ ბღვერით მიხედა და უმადურად შეაქცია ზურგი. მიწის ფერი დასდებოდა.

საქციელი წახდენოდათ გალმაუბნელებს — ჭირისუფლებივით შესცქეროდნენ ნაქებ ფალავანს.

დიმო ბეჭების რხევით გამოვიდა წრიდან.

გულშემატკივრები შემოვეხვიეთ.

— ყოჩაღ, დიმო!

— მართლა გვასახელე!

დიმო დინჯად იღიმებოდა...

## 5. ჰიტლერი და შოშია

ზაფხულობით მთელი სოფელი გაიკრიფებოდა მინდვრად. ჩვენც რაღა გაგვაჩერებდა. სამკალში უფრო მიგვიწევდა გული. თუმცა გასართობად არ მივხალისობდით, სამუშაო გვეძახდა. ვისაც რა ძალგვიძდა, იმას ვაკეთებდით. მთის მომგლეჯები არ ვიყავით, მაგრამ იმდენს მაინც ვჩალიჩობდით, რომ ლუკმა არ დაგვყვედრებოდა. ზოგ-ზოგ ჯანმოღლილ დედაკაცსა და ღონემიხდილ ულვაშოსანსაც ვჯობნიდით.

ბიჭები უფრო კომბაინზე მუშაობას ვრჩეობდით. ვინ მესაჭევრობდა, ვინ სალეწზე მოექცეოდა და ოთხთითათი ხახაში სჩრიდა მომკილ თავთავს, ვინ ბუნკერის დაცლაზე იჭიფხებოდა, დიმო კი ტომრების გავსებასა და აწევაზე იოფლებოდა, ჩვენზე მეტი ჯანი ჰქონდა და იმ მძიმე საქმეს მიტომ ირგუნებდა თვითონ.

იოლი საქმე არ იყო იმ მზისა და ბზის ბუღში ტრიალი, მაგრამ საქმეს მაინც არ გავექცეოდით. მაგის კაცები ვიყავით, რომ კომკავშირის კრებაზე ნათქვამი სიტყვა გაგვეტეხა?! ერთმანეთის ხალისით ვიიოლებდით საოფლს.

მწყერაობითაც ვიჯერებდით ხოლმე გულსა.

მწყერის დაჭერის სიხარულს მაშინ უფრო მოველოდით, მოსავალს რომ მოიცოტავებდა კომბაინი. კუნძულივით შემორჩენილ ყანაში მოგროვდებოდა ხეზე უჯდომელი ფრინველი, უცებ გაიფრთხიალებდა; ერთს მეორე მიჰყვებოდა, მესამე, მეოთხე, მეხუთე... კოჭლი არჩილა მაშინვე გააჩერებდა კომბაინს, „არიქათ, ბიჭებო!“ — წაგვაქეზებდა, თვითონაც ბუქნა-ბუქნით გაიქცეოდა. ჩვენც გავედევნებოდით, თავკონჭურა კომბლებს დავადევნებდით, იმდენში ერთს მაინც მოხვდებოდა. ნაწვერალში ბელტივით დაეცემოდა ნასუქი მწყერი. გავქანდებოდით, ტაციობას გავაჩენდით. ახლა იმაზე დავიწყებდით დავას, ვისი ნასროლი კომბალი მოხვდა... თუ წამოფრენილ ფრინველზე მოგვეცარებოდა ხელი, ბულულში მიმალულის დაჭერის იმედი მაინცა გვქონდა. ზოგჯერ გაგვიმართლებდა კიდეც.

მწყერაობაზე უფრო ვიოფლებოდით, ვიდრე მუშაობაზე. იმ ოფლის დენა გვსიამოვნებდა. თვით დაჭერა თავისთავად ფრთებს გვასხამდა, მაგრამ უფრო ის გვიხაროდა, რომ საუცხოო ვახშამი გვექნებოდა. ზოგი მწყერი ვარიას აიწონიდა, ჩათქვირებული, ჩაბელტილი. მე შენ გეტყვი, საჭმელი მოაკლდებოდა იმ თავთავიანობის ჟამს!

აბა, დიმო როგორ გასძლებდა უმწყეროდ. ის პირველი გაეძუნძულებოდა, მაგრამ სირბილში ვჯობნიდით და საიმისოდ აღარ ვტოვებდით დასაჭერს.

გულს არ დაიწყვეტდა.

„ეგ არაფერია! საღამოზე თუ ჩემზე მეტი მწყერი მიიყვანოთ შინა, მაშინ დაიტრაბახეთ“! — იმედიანად იტყოდა, გონებას აამოქმედებდა, ხერხს მოიშველიებდა, მოტიტვლებული ნაყანევის პირას ნათიბს დაახორავებდა, კარგა ხანს აცდიდა, იმედი ჰქონდა, რომ ძნის ქვეშ შეიმალებოდა შეცოტავებული მოსამკალიდან გამოგოგმანებული მწყერი; ფეხაკრეფით მიეპარებოდა, ზედ დაასკდებოდა ნამჯას, მძიმე-მძიმედ დაბუბნიდა, მერე ხელს მოუფათურებდა და კბილების კრეჭვით გამოიყვანდა დათეთქვილ ფრთოსანს, მაღლა შეაკონწიალებდა, სიხარულით შეიკუნტრუშებდა და აღტაცებით შესძახებდა:

— ოხ, ოხ-ო, ბიჭებო, რამხელა დედამწყერია!

— აბა, აბა, დიმო! — დავედევნებოდით ცნობისმოყვარეობით.

დიმო მსხვილ ტუჩებს მოიბუსხავდა, გამეტებით შეუბერავდა, ჭროღა ბუმბულს გაუფანტავდა, შიშველ კანს გამოუჩენდა და:

— დახედეთ, როგორ ჩაყვითლებულია!

— ვაახ, ვაახ!

— ცარიელა ქონია!

— ჩაკვერცხილ დედალსა ჰგავს! — ვუქებდით.

— ეს ჩემს პატარა დაიკოსა! — ღიმილით იტყოდა დიმო.

— ძმასა, დიმო, ძმასა?!

— ძმასაც დავუჭერ, ჯერ დილაა! — და უკვე გახურებული მზისკენ გაგვახედებდა.

ზოგჯერ გაუმართლებდა, საძმოდაც დაბუბნიდა, მწყერსა.

— ბებოსა, დიმო, ბებოსა?!

— თუ მეტი ვერ დავიჭირე, ამათ გულ-ღვიძლსაც იმყოფინებს ბებიაჩემი. ძვლის საწუწნი კბილები მაინც არა აქვს.

— შენა, დიმო, შენა?!

— ჩემთვის უფრო დიდს დავიჭერ! — წაიტრაბახებდა.

ჩვენ კი გვჯეროდა.

— აუ, რა ვახშამი გვექნება ამაღამა. — ნერწყვს გვაყლაპინებდა დიმო. — თუ ბებიაჩემმა მჭადის ფქვილი იშოვნა, რა ქულუჯანას გამოაცხობს! იქნება ისეთი სუფრა გაიშალოს, მეფესაც შეშურდეს!

ასე რომ, მწყერზე დიდ იმედებს ამყარებდა დიმო, თვითონაც გახარებული იყო და ოჯახის წევრებსაც აიმედებდა.

— თოხლოსა, დიმო?! — შევახსენებდით.

ხელმოცარული თოხლო საცოდავად შესცქეროდა.

— თოხლოს? — ეშმაკურად მოწკურავდა თვალებს და რაღაცა გამკენწლავ სიტყვას ეძებდა. ვიცოდით, რომ კარგს არაფერს იტყოდა და მივაშველებდით:

— ბო, მწყერი მაგასაც ხომ უნდა. რაც სამკალი დაიწყო, ერთი ჩოჩორი არ მოუყვანია სახლში.

— დაიჭიროს რა, ცოტა მწყერია?!

— ვერ იჭერს და რა ქნას?

— უნდა თავიც გაანძრიოს და ფეხებიცა, თავისთავად კი არ ჩაუფრინდება ხელებში!

ეგრე შეარცხვენდა, მაგრამ გულნაკლულს არ გაუშვებდა.

— რომელი გინდა, თოხლო? — არჩევინებდა თავწაწყვეტილ დედამწყერსა და ცოცხალ ჩოჩორს.

თოხლოს სული წასძლევდა, მაგრამ ხელი არა.

— ჰო, აიღე, რაღას უცდი. ორივესთვის ხომ არ ასმუტუნდი.

თოხლო ჩოჩორს წასწვდებოდა.

— წაიყვანე, ალალი იყოს, ოღონდ, კიდევ არ დაიტრაბახო თქვენი უბნის გოგოებში: ჩემი დაჭერილიაო.

— აღარ ვიტყვი! — იტყოდა თოხლო.

— ჩქარა, ბიჭებო! ბუნკერი გაივსო! — ყელს იხრანწავდა კოჭლი არჩილა.



ზანტად გავწევდით კომბაინისაკენ.

დღე რომ მოხნიერდებოდა, ყველაფრის ხალისი გაგვინელდებოდა. მწყერაობაც მოგვწყინდებოდა, მუშაობა — უფრო მეტად, სხვა საფიქრალი აგვეშლებოდა. მზე საშუადღეოზე შეიმართებოდა თუ არა, კისრებს გზისკენ ვიღრეცავდით, თვალჭიანა სანდრიას ურემი გველანდებოდა.

როდის-როდის გამოჩნდებოდა და სახეზე ნათელი გადაგვეფინებოდა.

თვალჭიანა სანდრიას ებარა მოკლეჭალება ურემი და ჭოტა ხარები. ურემზე ერთი დიდი კასრი ჰქონდა გამართული და წყალს გვიზიდავდა სამკალში მომუშავეებსა. შუადღისას კი საჭმელსაც მოაყოლებდა ხოლმე. საფონის ბოგირთან გააჩერებდა ურემს. საფონის ბოგირი გრძელი მიწების ბოლოს იყო, გვერდით უზარმაზარი ვერხვი იდგა, სიცხეშიც რომ ერთთავად ცახცახებდა. იქ ვიყრიდით ხოლმე თავს შესვენებისას. ვერხვის ძირში წყლით გაჭედილი რუ გამოდიოდა.

თვალჭიანა სანდრიას ურემი საფონის ბოგირს მიატანდა თუ არა, კომბაინი გაჩერდებოდა და დიდიც და პატარაც დავეშვებოდით იმ დიდი ვერხვისაკენ. ბიჭებს ვინ გაგვასწრებდა. ქაქანით მივდიოდით, მივეხვეოდით ურემს, გულახურებულები დავაცხრებოდით კასრზე გადმოკიდებულ შავ მაწოვარას და ხარბად ვქაჩავდით ცივ-ცივ წყალს.

— გახურებულ გულზე ნუ სვამთ, ავად გახდებით! — შემოგვიტევდა თვალჭიანა სანდრია, მაგრამ ყურს ვინ უგდებდა.

მერე რუს პირას დავყირავდებოდით და გავგრილდებოდით, თვალიც და ფიქრიც გაგვირბოდა ურმიდან გადმოდგმული გოდრისაკენ, იქ გვეგულებოდა აყუყუნებული კუჭის გასაყუჩებელი. აკი ჭუჭრუტანებიდან ჩანდა კიდეც პურის ყუები. ერთი სული გვქონდა, როდის გვაღირსებდნენ იმ ჩალაგებული პურის ამოშლას.

ჩვენს თავმჯდომარეს ეგეთი წესი ჰქონდა შემოღებული: მინდვრად მომუშავე კოლმეურნეებს დღეში თითო პურს აკუთვნებდა. ეგ ავანსად ითვლებოდა და მერე უქვითავდა. ჩვენზე, დამხმარე ბიჭებზე, კი ნახევარ პურზე მეტს არ იმეტებდნენ—პატარა კუჭი აქვთ; ეგ იმყოფინონო. მაგრამ, ვატყობდით, ჩვენი თავჯდომარე უფრო შორს იხედებოდა: ვაითუ დღეში მაგის საფასურიც ვერ გამოიმუშაონ და ვალად დაედოთო.

ბიჭები მაინც მადლიერნი ვიყავით.

ჩამოგვირიგდებოდა ჩვენი კუთვნილი, ჯგუფ-ჯგუფად ჩამოვსხდებოდით და გემრიელად ვილმურძლებოდით. მწვანილიც გვეშოვებოდა, ღანძილა ნივრის ფოჩი თუ ნამიანი ოხრახუში. ავად თუ კარგად მოვიმადლიერებდით კუჭსა და გუნებაც გამოგვიკეთდებოდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

## შენი ხუთწლედის ჩვეულებრივი დღე



# მომავლის მაგისტრალი

„საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის საკითხი. იგი გაივლის კავკასიონის მთავარი ქედის წყალგამყოფ მასივზე და თბილისი მოკლე გზით დაუკავშირდება ჩვენი ქვეყნის ცენტრს — მოსკოვს.

ჩრდილოეთ კავკასიასა და ცენტრალური რუსეთის სხვა რაიონებთან ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზით დაკავშირების იდეა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიბადა. ამ ხნის განმავლობაში ჩატარდა სხვადასხვა საძიებო სამუშაოები, შემუშავდა მრავალი პროექტი და ვარიანტი. მაგალითად, 1908 წელს პეტერბურგში გამოვიდა წიგნი, რომელშიც განხილული იყო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები, მოცემული იყო ნავარაუდევი გზების შესაბამისი რუკები. თბილისიდან რკინიგზას უნდა გაევლო მტკვრისა და არაგვის ხეობებში, შემდეგ კი ფშავის ხეობით — არხოტის უღელტეხილზე. ქედის ჩრდილოეთიდან იგი მდინარე ასის ხეობით ვლადიკავკაზამდე (ახლანდელი ორჯონიკიძე) მივიდოდა, შემუშავდა უღელტეხილზე გვირაბის გაყვანის სამი ვარიანტი. პირველი ვარიანტით გვირაბი გადიოდა დიდ სიმაღლეზე — 2000 მეტრზე. მაგრამ სიგრძით ყველაზე მოკლე იქნებოდა — ოთხი კილომეტრი. მეორე და მესამე ვარიანტით გვირაბის სიგრძე შესაბამისად 11 და 15 კილომეტრს აღწევდა. პროექტების განხილვის შემდეგ ყველაზე მოხერხებულად მიიჩნიეს 11-კილომეტრიანი გვირაბი. ოთხკილომეტრიანი გვირაბის ვარიანტი უარყვეს, რადგან გვირაბის შესასვლელი მუდმივი თოვლის ზონაში მდებარეობდა. ეს კი გააძნელებდა გზის ექსპლოატაციას. სამწუხაროდ, ყველა ეს პროექტი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. გზისათვის საჭირო მეტად რთული სამუშაოების შესრულებაზე —ხიდების, ვიადუკებისა და გვირაბების აგებაზე მაშინ მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა.

დიდი ხნის განმავლობაში ამიერკავკასია რუსეთს უკავშირდებოდა ერთადერთი სახმელეთო კომუნიკაციით — საქართველოს სამხედრო გზით. ეს გზა, როგორც ცნობილია, გადაკვეთს კავკასიონის მთავარ ქედს ჯვრის უღელტეხილის გავლით. საქართველოს სამხედრო გზით ვლადიკავკაზსა და თბილისს შორის რეგულარული მიმოსვლა გაიხსნა ჯერ კიდევ 1799 წელს, მაგრამ მიმოსვლას აბრკოლებდა ხშირი ზვავები. 1863 წელს საქართველოს სამხედრო გზაზე გზატკეცილი გაიყვანეს, ხოლო საშიშ ადგილებში საყრდენი კედლები ააგეს. ამის მიუხედავად ზამთარში ზვავების გამო მოძრაობა, როგორც წესი, წყდებოდა.

საქართველოს სამხედრო გზამ უდიდესი როლი შეასრულა XIX საუკუნეში ამიერკავკასიასა და რუსეთს შორის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობის

**ვისაუბროთ მომავალ ხუთწლედზე**

განვითარებაში. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ საქართველოს სამხედრო გზამ განიცადა ნაწილობრივი რეკონსტრუქცია.

მეორე მსოფლიო ომამდე ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებთან ამიერკავკასიის რესპუბლიკების სატრანსპორტო კავშირი მეტად შეზღუდული იყო. აღნიშნულ რაიონებს შორის სარკინიგზო მიმოსვლა მხოლოდ ერთადერთი — კასპიისპირა რკინიგზით ხორციელდებოდა. იგი კი გაზრდილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, ამიტომ გახდა აუცილებელი რკინიგზის ახალი ხაზის გაყვანა. და აი, აგებულ იქნა რკინიგზის შავიზღვისპირა მაგისტრალი, რომელიც ამუშავდა 1942 წელს. შავიზღვისპირა რკინიგზის ტრასით ამიერკავკასიის მაგისტრალი შეუერთდა ჩვენი ქვეყნის რკინიგზათა ერთიან ქსელს, შეიქმნა ახალი გასასვლელი ამიერკავკასიიდან ევროპული ნაწილის ცენტრალური და სამხრეთი რაიონებისაკენ. მანძილი თბილისიდან მოსკოვამდე შემცირდა 675, ბათუმიდან — 1165, ხოლო სოხუმიდან — 1400 კილომეტრით.

მალე შავიზღვისპირა რკინიგზის ხაზიც საგრძნობლად გადაიტვირთა და ახლა ამიერკავკასიის რკინიგზას მეტად დაძაბულ პირობებში უხდება მუშაობა.

როგორც ვხედავთ, ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა მეტად დიდია. მაგისტრალი აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთსა და დასავლეთ აზერბაიჯანს უმოკლესი მანძილით დააკავშირებს საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონებთან, ამასთანავე გაუმჯობესდება ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის სატრანსპორტო მომსახურება, შემცირდება, როგორც ამიერკავკასიის რკინიგზის, ასევე აზერბაიჯანის რკინიგზის ტვირთდაძაბულობა. აღსანიშნავია ისიც, რომ გზას, გარდა ეკონომიურისა, სტრატეგიული მნიშვნელობაც ექნება.

რკინიგზის შავიზღვისპირა მაგისტრალი ძალზე გადატვირთულია სამგზავრო მოძრაობით საკურორტო სეზონში. ამიერკავკასიის რესპუბლიკებსა და ჩრდილოეთ რაიონებს შორის ტვირთის გადაზიდვა ძირითადად წრიული გზით — დერბენტ-ბალაჯარის გავლით წარმოებს. ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის დამთავრების შემდეგ კი ტვირთზიდვის მანძილი 970 კმ-ით შემცირდება და საჭირო აღარ იქნება დერბენტ-ბალაჯარის შემოვლით ტვირთზიდვა. შავი ზღვის მიმართულებასთან შედარებით გზა თბილისიდან მოსკოვამდე 282 კილომეტრით შემოკლდება, დრო კი 8 საათით შემცირდება; მნიშვნელოვნად განიტვირთება რკინიგზის შავიზღვისპირა მაგისტრალი, რაც გააუმჯობესებს მგზავრთა გადაყვანას თბილისი — სოჭის ტრასაზე.

ტრანსკავკასიის რკინიგზის მაგისტრალი საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად ავითვისოთ მთის რაიონები. ერთადერთი სატრანსპორტო არტერია — საქართველოს სამხედრო გზა, რომლითაც მთის რაიონების მცხოვრებნი უკავშირდებიან ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებს, ზამთარში იკეტება.

ტრანსკავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანით მიღებული ეკონომიური ეფექტი ძალიან დიდი იქნება — წლიურად დაახლოებით 56 მილიონი მანეთი. წინასწარი გაანგარიშებით მაგისტრალის მშენებლობა 250-270 მილიონი მანეთი დაჯდება. ეს დანახარჯი 5-6 წელიწადში დაიფარება.

ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების სირთულის მიხედვით კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა უბადლო იქნება რკინიგზის მშენებლობის პრაქტიკაში. ევროპაში პირველად ხორციელდება ასე მაღალმთიან პირობებში რკინიგზის გაყვანა.

ამ ურთულესი სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. თითოეული მათგანის მიხედვით, კავკასიონის მთავარ ქედზე გამავალი გვირაბის სიგრძე დაახლოებით 10 კილომეტრი იქნება, სხვადასხვა სახეობის ხელოვნურ ნაგებობათა რაოდენობა კი 400 მიაღწევს.

1911 წელს ვლადიკავკაზში ჩატარდა სპეციალისტთა თათბირი კავკასიონის მთავარი ქედის რკინიგზით გადაკვეთის შესახებ. თათბირის დასასრულს ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა: „დღეს ჩვენ ვემშვიდობებით კავკასიონის დიდებულ მთებს, მაგრამ მჯერა, რომ აქ მოვლენ ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლები. როდის? ამას მომავალი გვიჩვენებს“.

კავკასიონის მთავარი ქედის რკინიგზით გადაკვეთის პროექტს მალე შეესხმება ხორცი.

**ანზორ თოთაძე,**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი.



**როცა ჩვენი ქვეყნის წარსულსა თუ აწმყოს ეცნობი, ხედავ იმ უსახელო გმირთა სახელოვან საქმეებს, რამაც ასე უცვალა სახე ჩვენს სოფლებსა და ქალაქებს. შენ და შენს თანატოლებს უნდა გახსოვდეთ, რომ ეს გმირები ის ადამიანები არიან, რომლებიც უხმაუროდ, თავდადებით ემსახურებიან ხალხს, ქვეყანას. და ჩვენ ვალდებული ვართ პატივი ვცეთ მათ სახელს, საქმიანობას, რადგან მათი ცხოვრება ჩვენი მაგალითია, გზის მანათობელი ვარსკვლავია.**

●

ნიკოლოზ ხუნტუა. ამ კაცის ბიოგრაფია აღსავსეა სამშობლოს ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითებით. იგი იყო ერთ-ერთი პირველი ქართველი მეშახტე, რომელმაც სხვებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ჩვენს რესპუბლიკაში ამ მამაცური და საპატიო პროფესიის მიმდევართა სახელოვან ტრადიციებს. მან გაიარა გზა შახტის უბრალო მბურღავიდან მეშახტეთა ახალაღმოცენებული ქალაქის მეთაურამდე. მაგრამ როგორ დაიწყო, როგორ წარიმართა მისი შრომითი საქმიანობა, ამაზე თვით ნიკოლოზი გვიამბობს:

— ათიანი წლების მიწურულში ჩემი ცხოვრების გზის დასაწყისი ისეთივე იყო, როგორიც ასეულ ათასობით ახალგაზრდისა. საცაა ბოლო უნდა მოღებოდა მეწშევიკების ბატონობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ჯერ კიდევ არ ვიცოდით და სწავლაზე კი არ ვფიქრობდით, არამედ სადღეისოდ თუ სამერმისოდ ლუკმაპურის შოვნაზე. ამიტომ მე და ჩემი ტოლები შეგირდებად ვმუშაობდით ხელოსნებთან—მეწაღეებთან, დურგლებთან, თერძებთან... ეს, მშობლების აზრით, უზრუნველყოფდა ჩვენს მომავალს...

— თქვენ რა ხელობა აირჩიეთ?

— ეს ჩემთვის არ უკითხავთ. ბიძაჩემი—იოსები კარგი მეწაღე იყო და მამაჩემი ოსტატად უკეთესს აბავის აირჩევდა. ვიჯექი პატარა დუქანში და ტყავს დაბალივით ვჭიმავდი კალაპოტზე ან ქერელის ძაფს ვსანთლავდი.

— დიდხანს გაგრძელდა თქვენი შეგირდობა?

— საბედნიეროდ, არა. ბიძაჩემი მალე გაკოტრდა და დუქანი დახურა. მეც ავიკარი გუდა-ნაბადი და ოჩამჩირის თამბაქოს საწყობის კარს მივადექი. ვმუშაობდი შავ მუშად, მწონავად, ჩამწყობად და ვინ იცის კიდევ რად... ორიოდე წლის შემდეგ კვლავ ახალ პროფესიას მოვკიდე ხელი— და ეს უკანასკნელი არჩევანი იყო. იგი ჩემი საყვარელი საქმე გახდა და, როგორც ხედავთ, დღემდე არ მიღალატნია მისთვის.

— როგორ მოხდა ეს?

— გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიაში“ გამოქვეყნდა განცხადება, რომ ჩემი მშობლიური სოფლიდან — აკვასკედან ოციოდე კილომეტრის დაშორებით იწყებოდა მადნეულის დამუშავება და საჭირო იყო მუშახელი.

აკვასკედან ახლანდელ ტყვარჩელში რომ მისულიყავით, უზარმაზარი ტყის მასივი უნდა გაგევლოთ. მაშინ გზა კი არა, ბილიკიც არ იყო ხეირიანად გაკვალული. მიუხედავად ამისა, ამ „გზით“ ბევრი ჩემი სოფლელი დადიოდა. ამის მიზეზი იყო მუხების ტევრში მოჩუხჩუხე ცხელი წყარო. ამბობდნენ, მას ბევრი სამკურნალო თვისებები აქვსო და დავრდომილი თუ საღ-სალამათი ყველა იქეთ მიეშურებოდა. უკან დაბრუნებისას ისინი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ღია კარიერის ჯერ კიდევ პრიმიტიული წესით დამუშავებას და შინ მისულნი ყველას ეუბნებოდნენ — მთაში ოქროს ეძებენო. ცხადია, ასე არ იყო, იქ ქვანახშირს იღებდნენ წიაღიდან. ძიებისა და უჩვეულო საქმის სიყვარულმა მომხიბლა და გეზი ავიღე ტყვარჩელისაკენ.

— გახსოვთ პირველი დღე?

— რა დამავიწყებს! როცა კარიერს მივუახლოვდი, დავინახე წერაქვითა და ნიჩბით მომუშავე ორი კაცი. როგორც შემდეგ გავიგე, ესენი იყვნენ დონბასიდან ჩამოსული მნგრეველები — დიმიტრი ხრუკალოვი და ნიკოლოზ კარიტოვი. ეს იყო ათას ცხრაას ოცდაცხრა წელს. მე მაშინ ოცდაოთხი წლის ჭაბუკი ვიყავი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ახალგაზრდაც, რომელიც აქ პირველი ეზიარა მეშახტის პროფესიას. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ ჩამოვიდა ჩემი თანატოლი დავით აშუბა, რომელთანაც მტკიცე მეგობრობა მაკავშირებდა, ვიდრე სამამულო ომში არ დაიღუპა.

— დღევანდელი შახტის მნახველს, შეიძლება წარმოდგენა შეექმნეს წიაღისეულის იმდროინდელ მოპოვებაზე?

— რასაკვირველია, არა. მაშინ შახტი, როგორც ასეთი, არ არსებობდა, არ იყო არც ეს რთული მექანიზმები, ვიწროლიანდაგიანი ვაგონეტები, ლიფტები და სხვა ათასი რამ. წიაღისეულს მიწის ზედაპირზე წერაქვით ვანგრევდით, თხუნელასავით მივძვრებოდით სიღრმეში, მერე ვიღებდით ჩვენივე ხელით მოპოვებულ ქვანახშირს, ვყრიდით ტომრებში, ვკიდებდით ცხენებზე და ვჩალვადრობდით, ვიდრე ამ ჩვენს „ნადავლს“ ცენტრალურ გზაზე არ გავიტანდით.

— ახლა?

— ახლა მეშახტეთა განკარგულებაშია გამყვანი კომბაინები, ექსკავატორები, მომპოვებელი კომპლექსები, მძლავრი ავტომცლელები, საბურღი დანადგარები, ფლოტაციური მანქანები, ელექტრონულ-გამომთვლელი ტექნიკა, ავტომატური კონტროლის ხელსაწყოები... მოდით, რამდენიმე წუთით გონების თვალით ვესტუმროთ რომელიმე შახტს, რათა ნათელი წარმოდგენა გვქონდეს მეშახტეთა საქმიანობაზე.

სამუშაოზე გასვლის წინ თითოეული მათგანი იცვამს სპეცტანსაცმელს, ჩექმებს, იხურავს მუზარადს, შემდეგ იღებს სპეციალურ ლამპას და მიეშურება ლიფტისაკენ. ადამიანების ჩასაყვანად და ამოსაყვანად, აგრეთვე მოწყობილობის, მასალების, ქანების გადასაზიდად, შახტში სუფთა ჰაერის მისაწოდებლად გამოიყენება დამხმარე ჭაური. სწორედ ამ ჭაურიდან ეშვება მეშახტე თავის სანგრევში. ლიფტით სვლისას ჭაურში დაინახავთ მილებს. ერთ-ერთი მათგანით შახტში ჩადის სუფთა წყალი ქვანახშირის მტვრის გასანეიტრალებლად და შესაძლო ხანძრის წინააღმდეგ გამოსაყენებლად, მეორეთი კი ხდება მიწისქვეშა წყლების შეწოვა-ამოტუმბვა.

დამხმარე ჭაურის ახლოს არის მეორე — მთავარი ჭაური, საიდანაც ზემოთააქვთ ვაგონეტებით მიტანილი ქვანახშირი. ვაგონეტები სპეციალურ მოწყობილობათა დახმარებით ერთი მეორის მიყოლებით ყირავდებიან და ქვანახშირი იყრება ხვიმირაში, აქედან კი ავტომატურად ხდება მისი გატანა.

ცხადია, გატანამდე საჭიროა ქვანახშირის მოპოვება. და ეს ხდება სწორედ ამ მიწისქვეშა ლაბირინთებში, — ლავაში... მონგრეულ ქვანახშირს ჰყრიან კონვეიერზე და გააქვთ ვაგონეტების დასატვირთი პუნქტისაკენ.

მნგრეველი და გამყვანი — ეს მეშახტეთა ძირითადი პროფესიებია. მათ გვერდით საქმიანობენ ელექტროზეინკლები, რომლებიც ემსახურებიან მანქანებს, ტრანსპორტს, სხვადასხვა დანადგარებს. განსაკუთ-

რებით საპასუხისმგებლო პროფესია ამფეთქებლისა, რომელსაც გაჰყავს გზა ნახშირის შრეებსა და კლდის ქანებში.

— ყველაფერ ამის დანერგვას, უთუოდ, დიდი დრო დასჭირდა.

— შეიძლება ითქვას, შახტების ტექნიკური აღჭურვა ჩემს თვალწინ მოხდა. როცა ტყვარჩელის შახტების პირველ ნაბიჯებზე, კარიერის ღიად დამუშავებაზე მოგახსენებდით, მაშინ, რა თქმა უნდა, არც მომპოვებელი ტექნიკა იყო და არც ნგრევის ტექნოლოგიას ვიყავით დაუფლებული. ერთი წლის შემდეგ მე და დავით აშუბა რამდენიმე თვით დონბასში მიგვავლინეს. ეს დიდი სკოლა იყო ჩვენთვის. საქართველოში ცოდნასა და გამოცდილებას დაუფლებული დავბრუნდით. და მაინც, მუშაობის ის მეთოდი და ტექნოლოგია, რაც იმ ხანად საბჭოთა მეშახტეებს გააჩნდათ, არ იყო საკმარისი და საჭირო შედეგს არ იძლეოდა. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დონბასელმა მნგრეველმა ალექსი სტახანოვმა რაციონალურად გამოიყენა ცნობილი მეშახტის ნიკიტა იზოტოვის გამოცდილება და ერთ ცვლაში შვიდი ტონის ნაცვლად ას ორი ტონა ქვანახშირი მოანგრია, ამ საოცარმა რეკორდმა დასაბამი მისცა მასობრივ მოძრაობას — სტახანოველობას.

— ჩვენს მეშახტეებში სწრაფად გავრცელდა იგი?

— ძალზე სწრაფად. შედეგებიც შესანიშნავი მივიღეთ. არასოდეს დამავიწყდება ათას ცხრაას ოცდათხუთმეტი წლის ხუთი იანვარი — ვმუშაობდი რა სტახანოვის ცნობილი მეთოდით, ამ დღეს ნორმა 600 პროცენტით შევასრულე. ოსტატობას სისტემატურად ვხვეწდი და უკვე ოცდაათიანი წლების ბოლოსათვის ნორმას 700-800 პროცენტით ვასრულებდი. სამშობლომ დიდად დააფასა ჩემი შრომა. ამირჩიეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად, ორიოდე წლის შემდეგ კი ლენინის ორდენით დამაჯილდოვეს.

— გყავდათ თუ არა მასწავლებლები?



ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის პიონერებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს სახელმოხვეჭილ მეშახტეს ნ. ხუნტუას.

— დონბასელი მეშახტეები ხრუკალოვი და კარიტოვი ჩემი პირველი მასწავლებლები იყვნენ. დონბასში მრავალთვიანი პრაქტიკის დროს ბევრი კარგი რამ მისწავლია სხვა ოსტატებისგანაც. დაბოლოს, ჩემი და ყველა მეშახტის მასწავლებლები არიან ნიკიტა იზოტოვი და ალექსი სტახანოვი.

— გყავდათ თუ არა შეგირდები, აღგიზრდიათ მოწაფეები?

— ამაზე კი განსაკუთრებით მინდა ვილაპარაკო.

თაობათა ცვლა ჩვენს პროფესიაშიც დიდმნიშვნელოვანია. შახტში სამუშაოდ მოდიან ახალგაზრდები, რომლებსაც არც ცოდნა აქვთ და არც გამოცდილება. ყველაფერი შენგან უნდა შეითვისონ და შენც მზადა ხარ გაანდო მათ პროფესიული საიდუმლოება, გაწაფო საქმეში. ვინც საქმის მოყვარულია და უნარიანი, მალე მხარს გაგისწორებს, მერე გაგისწრებს კიდეც. ასე გაიზარდნენ ჩემს ხელში ლენინის ორდენოსნები ალექსი აიბა და ტრიფონ მაქაცარია. ჩემი შეგირდი და ბრიგადის წევრი იყო ტყვარჩელში პირველი სოციალისტური შრომის გმირი ალექსი ალიაბიევი. სინანულით ვიგონებ ამ ჭეშმარიტ ვაჟკაცს, გამჭრიახ ახალგაზრდას. იგი თავს არ ზოგავდა, ცდილობდა გაემართლებინა გმირის

საპატიო სახელი და შეეწირა კიდეც საყვარელ საქმეს. როცა აფეთქების ხმა მიწყდა, ალექსი საფარიდან გამოვიდა. თურმე ერთი ავზედითი მუხტი კიდევ იყო დარჩენილი... ხალხმა, მეგობრებმა არ დაივიწყეს იგი. საკარმარაში რომ ახვალთ, შემოგეგებებათ ქვაში ნაკვეთი, ენერგიული და მომღიმარი სახის ახალგაზრდა. ეს ალექსი ალიაბიევია. ასე უკვდავყვეს მისი სახელი მეშახტეებმა.

— ასეც უნდა ყოფილიყო: ჩვენს ქვეყანაში გმირს და მამაცს არ ივიწყებენ.

— შეიძლება ითქვას, მეშახტის პროფესია თავისთავად არის გმირული და მამაცური. მიწა ადვილად როდი თმობს თავის სიმდიდრეს. რაც უფრო ღრმად შედიხარ მის სიღრმეში, მით უფრო იზრდება წნევაც და ტემპერატურაც. ამასთანავე ცნობილია, რომ ქვანახშირს აქვს თვითაალების თვისებაც. მოსალოდნელია შახტში წყლის შემოჭრაც... ყველაფერი ეს გარკვეულ საფრთხეს უქმნის მეშახტეს. მაგრამ საფრთხისა და რისკის გარეშე განა შეიძლება მიწასთან ან ცასთან ჭიდილი? როცა სიძნელეებზე ვლაპარაკობდი, მინდოდა ახალგაზრდებისათვის მეთქვა, რომ მეშახტეობა მამაცთა და ძლიერთა ხვედრია. ამ პროფესიაში ბევრი რამ არის მომხიბლავი და რომანტიკული. ამასთანავე ეს პროფესია ერთ-ერთი საპასუხისმგებლო და საპატიოა მრავალთა შორის. უქვანახშიროდ ვერ იარსებებს მრეწველობა. ამიტომ, ვისაც ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია რა გამოვიდეს ცხოვრებაში, ვურჩევ გახდეს მეშახტე—მუშათა ამ სახელოვანი გვარდიის წარმომადგენელი. რაც შეეხება საფრთხეს, შეგიძლიათ დამშვიდებული იყოთ: თქვენ დაგიცავთ თანამედროვე შახტების სრულყოფილი ტექნიკური აღჭურვილობა.

— თქვენ რომ თავიდან იწყებდეთ ცხოვრებას, ისევ მეშახტის პროფესიას აირჩევდით?

— უყოყმანოდ!

●

ნიკოლოზ ხუნტუას — მოწოდებითა და პროფესიით მეშახტეს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართველ მეშახტეთა სახელოვანი ტრადიციების დაფუძნებასა და განმტკიცებაში. მაგრამ ერთ დროს ნიკოლოზს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაც დაეკისრა: იგი იყო ქალაქ ტყვარჩელის მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. როცა ოცდაოთხი წლის ახალგაზრდა პირველად ჩამოვიდა ტყვარჩელში, იქ დასახლების ნასახიც არ იყო. შემდეგ, როცა მან და მისმა თანამოსანგრეებმა თავდადებული შრომით შავი ოქროს მთები დადგეს, დაისვა მეშახტეთა ქალაქის მშენებლობის საკითხი, და, ცხადია, აქ ერთ-ერთი გადამწყვეტი სიტყვა თვით სახელოვან მეშახტეს უნდა ეთქვა. არც ამ მოვალეობისათვის უღალატნია ნიკოლოზს. მის თვალწინ სწრაფად აიმართნენ მრავალსართულიანი სახლები, გაიჭრა ქუჩები, გაშენდა ბაღები და სკვერები. მალე ამ ახალი შენობების ფანჯრებიდან შუქი გამოკრთა და რუკაზე აღინიშნა კიდევ ერთი პატარა ქალაქი. ქალაქისთავობა ნიკოლოზ ხუნტუას დაეკისრა და იგი წლების მანძილზე უნარიანად უძღვებოდა მინდობილ საქმეს.

მაგრამ მაინც მიწისქვეშა ლაბირინთებისაკენ მიუწევდა გული და, ბოლოს, ისევ საყვარელ პროფესიას დაუბრუნდა. იყო ათისთავი, შახტის უფროსი, უბნის უფროსის მოადგილე, უბნის უფროსი... ამ ათიოდე წლის წინათ პენსიაში გავიდა. ნიკოლოზი ჯეროვნად დააფასეს: პერსონალური პენსია დაენიშნა, „საპატიო მეშახტის“ წოდება მიენიჭა. როგორც ვხედავთ, ყველაფერი მიიღო, რათა დაესვენა ნაშრომ, ხანდაზმულ კაცს. მაგრამ ორი წლის შემდეგ ისევ მივიდა შახტში სამუშაოდ, ამჯერად ურყევი გადაწყვეტილებით — ბოლომდე მისი ერთგული დარჩეს.

ეს ფაქტი მეტად საგულისხმოა. სწორად არჩეული პროფესია ადამიანის განუყრელი თანამგზავრი და გამადიდებელია.

ამას ადასტურებს ცნობილი მეშახტის ცხოვრების მაგალითი.

**ნოდარ ჯაველიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შემოდგომა რა კარგია

**ქეთევან მიქაძე**

შემოდგომა რა კარგია!
ყურძენს ქარვის ფერი დაკრავს,
ატამს სახე გაბადრია.
ლეღვს ტუჩებზე რომ დაღვრია —
თაფლია და შარბათია.
ქარმა ფეხთით რომ დამიგდო —
კროლა კაკლის ნაბადია.
მკერდგაღეღილ ბროწეულებს
მოთმინება დაკარგვიათ —,
ხეზე ყოფნა აღარ უნდათ...
შემოდგომა რა კარგია!
ყველაფერი რაც მადლია —
შემოდგომას აბადია.



## მთები

**ავთანდილ ხურციძე**

მთები —
ჩემი თუ გურიის მთები,
დანაოჭებულ შუბლების მჩენი...
მთები —
სიმაღლე და გაღმერთება,
მოხუცებული მშობლები ჩემი —
მელოდებიან. გული ვერ იტევს
სიყვარულს,
რითაც ეს ლექსი შევქმენ...
ასე მგონია,
ჩემს გურიის მთებს
მოუღრეციათ კისერი ჩემკენ.



გიყვარდეთ წიგნი სულითა და გულით! ის არა მარტო თქვენი საუკეთესო მეგობარია, არამედ გოლომდე ერთგული თანამგზავრიც!

მიხეილ შოლოხოვი.




ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 6

## ლამაზ ოცნებას მასწავლის

წიგნი ჯერ კიდევ მაშინ შევიყვარე, როცა სკოლის კარები არც კი მენახა. დედა მიკითხავდა ზღაპრებს, ჟურნალ „დილას"... კითხვა რომ ვისწავლე, წიგნი ჩემი განუყრელი მეგობარი გახდა.

განსაკუთრებით ფანტასტიკური და სათავგადასავლო ლიტერატურა მიტაცებს. ძალიან მომეწონა ჟიულ ვერნის ფანტასტიკური მოთხრობა „მოგზაურობა დედამიწის „ცენტრისაკენ". მისი წაკითხვის შემდეგ სურვილი ამეძრა გავმხდარიყავი მოგზაური, ამომეხსნა რომელიმე საიდუმლო, რასაც ჩვენს დედამიწაზე ჯერ კიდევ ფარდა არ ახდია.

დიდი ინტერესით წავიკითხე ასტრიდ ლინდგრენის „პეპი მაღალი წინდა". პეპის არაჩვეულებრივმა თავგადასავალმა ბევრი მაცინა. მისი დევგმირული ღონე მაოცებდა და მახარებდა. წიგნის კითხვა რომ დავამთავრე, გონების თვალით წარმოვიდგინე ჩემი თავი ზღაპრული ძალღონის მქონე გოგონად და დავიწყე მოგზაურობა არაჩვეულებრივ ქვეყნებში, სადაც გაბედულად ვებრძოდი ყოველგვარ ბოროტებასა და უსამართლობას... ასე მასწავლის წიგნი ლამაზ ოცნებას.

ეკა ცაგარელი,
თბილისის 58 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.

## სიკეთის უშრეტი წყარო

„მიყვარს კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა", — ამბობს ერთ ლექსში საქართველოს სახალხო პოეტი იოსებ გრიშაშვილი. და მართლაც, ვინ ჩამოთვლის, რამდენ ადამიანს მიანიჭა შვება ამა თუ იმ წიგნმა სასოწარკვეთილების წუთებში, მხარში ამოუდგა, სიცოცხლის მშვენიერება დაანახვა, ადამიანის სიყვარული გაუღვივა... ამის მაგალითი ხომ უამრავზე უამრავია.

ჩემთვის, მაგალითად, წიგნი მეორე დედაა — გონების გამამდიდრებელი, სიკეთის მადლით მასაზრდოებელი, ცხოვრებაში გზის გამკვლევი...

ამასთანავე მუდამ მახსოვს დიდი ილიას ნათქვამი: „არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა". ვეცდები, წიგნით მიღებული ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება ერთმანეთს შევუთანხმო, რათა მეც გავხდე ჰარმონიულად განვითარებული მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა.

მედეა იმედაშვილი,
თბილისის 119-ე საშუალო სკოლის VIII[4] კლასის მოსწავლე.

## ჩემი უსაყვარლესი გმირი ქალი

ბევრ მოთხრობასა და რომანს აუღელვებივარ, გულის სიღრმემდე განმიცდია მათი გმირების წუხილი თუ სიხარული, მათთან ერთად მივლია წუთისოფლის ბილიკებზე... მაგრამ ამ მრავალთაგან მაინც მყავს რამდენიმე გამორჩეული, რომლებიც განსაკუთრებულად მიყვარს და პატივს ვცემ. ქალთა შორის ასეთია ოთარაანთ ქვრივი.

ოთარაანთ ქვრივი უბრალო გლეხის ქალია, საოცრად სამართლიანი და კეთილი, არც ვინმეს დაეჩაგვრინება, არც თვითონ ატკენს გულს სხვას. გარეგნულად კუშტი და მიუკარებელი, დიდად სათნო, კეთილი და ბრძენია. ამავე დროს იგი იდეალური დედაა, დედა კი ყველაზე სათაყვანო არსებაა.

ნიკოლოზ ჯმუხაძე,
თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის 58-ე საშუალო სკოლის VII[1] კლასის მოსწავლე.

## მადლობა მწერალს

შემოდგომის დილაა. სკოლისკენ მივუყვები ფერად-ფერადი ფოთლებით მოფენილ ტროტუარს. წიგნის ჩანთა ამოღლიავებული მაქვს და ვინ იცის მერამდენედ ვფურცლავ ნოდარ დუმბაძის რომანს „თეთრ ბაირაღებს".

მოულოდნელად ჩვენი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი ნელი თავართქილაძე წამომეწია.

— ვიცი, რომ ძალიან გიყვარს მხატვრული ლიტერატურა. მაინც რომელი მწერლის ნაწერები გიზიდავს ყველაზე უფრო? — მეკითხება ნელი ხელმძღვანელი.

— ნოდარ დუმბაძისა. — უყოყმანოდ ვუპასუხე და ერთბაშად გავიხსენე საყვარელი მწერლის ყველა რომანი თუ მოთხრობა. მათი წაკითხვისას ვიცინი, ვხარობ, ვტკბები, სულ ერთია, პირველად ვკითხულობ თუ მეათედ.

თვალწინ წარმომიდგება „თეთრი ბაირაღების" მთავარი გმირი ზაზა ნაკაშიძე და მახსენდება ქართული ანდაზა: „სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედა". მაგონდება ამ რომანში ამოკითხული სიტყვებიც, რომ სიმართლე — ეს არის ჯომულუნგმა — ყველაზე მაღალი მწვერვალი...

დიდი მადლობა სიმართლის მსახურ მწერალს!

გელა გარდაფხაძე,
თბილისის მე-14 საშუალო სკოლის VIII[1] კლასის მოსწავლე.

12414

## წმინდა საგანძური

მამაჩემს, პროფესიით ინჟინერს, საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა აქვს. აქ ნახავთ ქართულ, რუსულ, აგრეთვე უცხოურ ენებზე გამოცემულ მრავალ წიგნს. რასაკვირველია, მამა არ მიშლის მათს კითხვას, მაგრამ მე მაინც საკუთარი ბიბლიოთეკა მაქვს, რომელშიც თავმოყრილია ჩემი ყველაზე საყვარელი წიგნები: „ვეფხისტყაოსანი", ნ. ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის, ალ. ყაზბეგის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის და სხვათა მარადუკვდავი ქმნილებები, ა. გაიდარის „თემური და მისი რაზმი", ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი", ა. ფადეევის „ახალგაზრდა გვარდია". ეს ორი უკანასკნელი ნაწარმოები რამდენჯერმე წავიკითხე. მიტაცებს მათი გმირების უსაზღვრო სიყვარული და თავდადება სამშობლოსადმი, ხალხისადმი. ყოველთვის ვიძენ იმ წიგნებს, რომელთა წაკითხვასაც ჟურნალი „პიონერი" გვირჩევს.

ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი წმიდათაწმიდა საგანძურია.

მაია მოლოკავა,
თბილისის მე-10 საშუალო სკოლის VIII[2] კლასის მოსწავლე.



## ჩემი მეგობარი

ცხოვრების გზას გამიკაფავს,
ის ხომ ცოდნის წყარო არის...
წიგნი ცაში ამაქროლებს,
შუქს მომახვევს მზის და მთვარის.

მომატარებს მთელ სამყაროს,
ფერად-ფერად ამბებს მეტყვის,
ყველა კუნჭულს გამინათებს
მისი სიბრძნის ანარეკლი.

ის მასწავლის უტყუარად,
სწავლა, შრომა თუ რა არის,
წამითაც არ მომცილდება
წიგნი — ჩემი მეგობარი.

დათო კობახიძე,
ქუთაისის 1-ლი საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლე.

## ეს ხომ ბარბაროსობაა!

აღშფოთებას ძლივს ვიოკებ ხოლმე, როცა გასვრილ, გაქონილ, ფურცლებამოხეულ წიგნს ვნახავ. ზოგჯერ ესა თუ ის წიგნი გარეგნულად თითქოს კარგად გამოიყურება, მაგრამ გადაფურცლავთ და... ათასნაირ წარწერას წააწყდებით: „მომეწონა", „შესანიშნავია", „არ მომეწონა" და ასე შემდეგ. ჩემი აზრით, წიგნისადმი ასეთი უდიერი მოპყრობა ნამდვილი ბარბაროსობაა.

მანანა კაკუაშვილი,
ქარელის რაიონის აგარის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.



## დაბადების 125 წლისთავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსანდრე ყაზბეგი

შესრულდა ქართული კლასიკური მწერლობის მშვენებისა და სიამაყის ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 125 წელი.

ალექსანდრე ყაზბეგი დაიბადა 1848 წელს სოფელ სტეფანწმინდაში (ამჟამად დაბა ყაზბეგი). მამამისი, მიხეილი, მთის ოლქის მმართველი იყო. დედა—ელისაბედ თარხნიშვილი თავისი დროისათვის საკმაოდ განსწავლული, მხატვრული ლიტერატურის მოყვარული ყოფილა.

შეძლებული მშობლების ერთადერთი ვაჟიშვილი ალექსანდრე (სანდრო) ფუფუნებაში იზრდებოდა. მთელი ოჯახი, მრავალრიცხოვანი შინამოსამსახურეებით, თავს evლებოდა, ანებივრებდა მას. პატარა სანდრო მეტისმეტად ცელქი იყო და შინაურებთან მუდმივი ჩხუბი ჰქონდა, ამიტომ დედამ ერთხელ, თურმე, „მოჩხუბარიძე" უწოდა. სანდროს მოწონებია ეს მეტსახელი და შემდგომ იგი თავის ყველაზე საყვარელ ფსევდონიმად გამოიყენა.

მომავალი მწერლის სულიერ ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა მისმა ერთ-ერთმა აღმზრდელმა — გლეხის ქალმა ნინომ. უკვე დავაჟკაცებულმა ალექსანდრემ მოამაგე აღმზრდელს სახსოვრად უძღვნა ყრმობისდროინდელი ნაწერების პირველი რვეული და ზედ წააწერა: „... მოიგონე ის დროები, როდესაც მე ბავშვობაში მივლიდნენ, როგორც მეფის შვილს, მანებივრებდნენ... ამასთან მოიგონე შენი ზღაპრები: „თათრის ყვავილი", „ხალხის ნუგეში", „მეკობრეები" და სხვანი, რომლებსაც უფრო ვენდობოდი და რომლების შინაარსი უფრო იბეჭდებოდა ჩემს თავში, ვიდრე დარიგება სხვა პირების. გახსოვს რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურეების და ყმების მდგომარეობაზე ბატონების ხელში? მახსოვს შენმა სიტყვებმა რამდენჯერ დამაღვრევინა მდუღარე ცრემლები და თანამაგრძნობინა ხალხისათვის? შენი სიტყვები არ დაიკარგა მუქთად და აქ დაიმარხა ჩემს გულში. და ახლა, ამდენი ხნის განმავლობის შემდეგ, შემიძლია სიამაყით გითხრა: შენს გაზრდილში თუ იპოვება რაიმე რიგიანი, ბავშვობიდანვე ჩანერგული, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისთვისაც გმადლობ წარმოუთქმელად".

ასე რომ, ალ. ყაზბეგმა ბავშვობაშივე გაიცნო თავისი ხალხის მისწრაფებანი. იგი ვერ იტანდა ფუფუნებას. ხშირად ხელიდან გაუსხლტებოდა ხოლმე გადია-აღმზრდელებს და სოფლელ ბიჭებში ან ცხვარში ამოყოფდა თავს. განსაკუთრებით მწყემსებთან ყოფნა უყვარდა. ამრიგად, სანდროს ნამდვილი აღმზრდელი მშრომელი ხალხი იყო.

თორმეტი წლისა რომ გახდა, ალექსანდრე თბილისში ჩამოიყვანეს და კერძო, არისტოკრატულ პანსიონში მიაბარეს. პანსიონიდან გიმნაზიაში გადავიდა, სადაც მხოლოდ მეოთხე კლასამდე მიაღწია — მშობლებმა უკანვე წაიყვანეს, რადგან თვითონ ვერ ახერხებდნენ თბილისში წამოსვლას, ხოლო ალექსანდრეს ვერ იშორებდნენ თვალიდან.

მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი ვალებში ჩავარდა, მაგრამ დედამ, რომელსაც სურდა ვაჟიშვილი ყველაზე განათლებულ კაცად აღეზარდა, მაინც იშოვა საკმაო თანხა და ცხრამეტი წლის ალექსანდრე მოსკოვს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, იქ იგი სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში შევიდა თავისუფალ მსმენელად და სამი წლის მანძილზე საფუძვლიანი, ღრმა განათლება მიიღო. ახალგაზრდა ყაზბეგი გაიტაცა იმ მოწინავე იდეებმა, რომლითაც გამსჭვალული იყო 60-70-იანი წლების რუსეთის ინტელეგენცია.

1870 წელს ალექსანდრე ყაზბეგი სამშობლოში დაბრუნდა და მთელი ცხრა წელიწადი ხევში გაატარა. მან უარყო თანამდებობრივი კარიერა და ისეთივე ცხოვრება არჩია, როგორსაც ეწეოდნენ მისი მეზობელი მოხევეები. შეიძინა ცხვრის ფარა და გაჰყვა მთაში. შვიდი წე-

ლი იყო მეცხვარედ. ამ ხნის განმავლობაში ზედმიწევნით შეისწავლა ხალხის ცხოვრება, გახდა მისი ჭირ-ვარამის თანამოზიარე.

მეცხვარეებმა ალექსანდრე ყაზბეგს „მთიელთა ფარი“ უწოდეს, რადგან მუდამ უშიშრად გამოდიოდა მთიელი ხალხის მჩაგვრელ მეფის მოხელეთა წინააღმდეგ. იგი არა მარტო წერდა ამ მოხელეთა შესახებ, არამედ პრაქტიკულადაც ებრძოდა მათ ძალმომრეობას.

1879 წელს ალ. ყაზბეგი სამუდამოდ დასახლდა თბილისში. მის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ხანა თავისი მრავალფეროვნებით, ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობით, მხატვრული შემოქმედების დარგში არაჩვეულებრივი ნაყოფიერებით.

1881 წელს გაზეთ „დროებაში“ დაიბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის ბრწყინვალე რომანი „ელგუჯა“. მას ზედიზედ მოჰყვა „მამის მკვლელი“, „ელისო“, „ნამწყემსარის მოგონებანი“, „განკიცხული“, „ხევისბერი გოჩა“, „ციცია“, „მოძღვარი“, „წამება ქეთევან დედოფლისა“... ამავე ხანებში სცენაზე დაიდგა გმირობითა და მხნეობით აღსავსე მისი პიესა „არსენა“.

ალექსანდრე ყაზბეგის, როგორც მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატის სახელი, მალე საყოველთაოდ ცნობილი ხდება, ხალხი მის ყოველ ახალ ნაწარმოებს მოუთმენლად ელოდება. აი, რა სიტყვები წარმოათქმევინა „ელგუჯას“ წაკითხვამ მკაცრ შემფასებელს პოეტ გრიგოლ ორბელიანს: „ღმერთმა გაკურთხოს, მოჩხუბარიძევ, იმ გულის დატკბობისათვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამსა. ჯერ ქართულს ენაზედ მსგავსი არა დაწერილა-რა“.

ამავე პერიოდში ალ. ყაზბეგი აქტიურად თანამშრომლობს ქართულ თეატრსა და პრესაში.

მაგრამ მუდმივმა ხელმოკლეობამ, დაძაბულმა ლიტერატურულმა შრომამ მძიმე დაღი დაასვა დაუდგრომელი შემოქმედის ჯანმრთელობას. ალ. ყაზბეგის ორგანიზმს საშინელი სენი ეუფლება—იგი სულით ავადმყოფი ხდება. დიდი ხნის ტანჯვისა და ავადმყოფობის შემდეგ, 1890 წელს, მას სულით ავადმყოფთა სახლში ათავსებენ. მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ამ სახლში იტანჯებოდა იმ დროს, როცა მისი მარადუჭკნობი ნაწერები უკვე ტომებად იყო გამოსული და მკითხველები მათ ავტორს თაყვანს სცემდნენ.

ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა 1893 წლის 10 დეკემბერს. 45 წლისამ დაასრულა სიცოცხლე.

საყვარელი მწერლის გარდაცვალების ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა. ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ მთელი ქვეყნის გასაგონად იუწყებოდა: „... გარდაიცვალა!.. მაგრამ ვინ მოიგონა ეს სიტყვა?.. უკვდავთან სიკვდილს რა ხელი აქვს?.. ორჯერ დაბადებულს, ღვთიურის მადლით ცხებულს ერთი სიკვდილი ვერას უზამს. ყაზბეგი კი მეორედ მაშინ დაიბადა, როდესაც თავისი ნიჭიერი კალამი უძღვნა ქვეყანას, დაიბადა ისე, რომ მისი აკვანი ყოველი ქართველის გულში ირწეოდა და ასეთს აკვანში გამოზრდილს ადამიანს კი სიკვდილი ხელს ვერ შეახებს“.

ქართველი ერის სასიქადულო შვილი ლექსებით დაიტირეს აკაკი წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ, შიო მღვიმელმა, თედო რაზიკაშვილმა, ნინო ორბელიანმა...

ალექსანდრე ყაზბეგი მიწას მიაბარეს 1893 წლის 22 დეკემბერს. იგი დაკრძალულია სოფელ სტეფანწმინდაში, თავისივე სახლის ეზოში.

ალექსანდრე ყაზბეგს მეტად მძიმე, სუსხიან დროს მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა. უსაზღვრო იყო მეფის სატრაპების თვითნებობა და მხეცური ძალადობა რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. 1880 წელს ზამთრის სასახლის აფეთქების ცდას, ხოლო 1881 წელს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მოკვლას თვითმპყრობელობამ ცეცხლითა და მახვილით უპასუხა. ბნელი რეაქცია სულს უხუთავდა ლიტერატურასაც.

ცხადია, მეფის ხელისუფალნი საქართველოშიც მძვინვარებდნენ. ლიტერატურას, პრესას გასაქანს არ აძლევდა ცენზურა — დაუნდობლად სპობდა ყველაფერს, რაც კი არსებული წყობილების კრიტიკის ცდას შეიცავდა.

ასეთ პირობებში სამწერლო ასპარეზზე გამოსულმა ალექსანდრე ყაზბეგმა გაბედულად აღიმაღლა ხმა უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. მან ბარბაროსულ რეაქციას თავისუფლებისმოყვარე ადამიანთა თავგანწირული ბრძოლა დაუპირისპირა. მისი თხზულებები მკითხველში იწვევს ზიზღს იმ წყობილების მიმართ, რომელშიაც მშვიდობიანი, პატიოსანი ადამიანებისათვის ცხოვრება ჯოჯოხეთად იყო ქცეული.

„ელგუჯაში“, რუს ჯარისკაცებს რომ ახასიათებს, ალ. ყაზბეგი წერს: „ყველას მოაგონდა თავისი სახლ-კარი, მიწა-წყალი, ცოლ-შვილი. რისთვის შორდებოდნენ თავის სამშობლოს, რისთვის დაეკარგათ მოსვენებული ცხოვრება, რისთვის გადმოხვეწილიყვნენ ამ ადგილებში, თითონაც არ იცოდნენ. მიდიოდნენ თავდახრილები და თავიანთი მოქმედებისთვის ანგარიში ვერ მიეცათ“. როგორც ვხედავთ, ჰუმანისტი მწერალი აღსავსეა დაჩაგრული ჯარისკაცების თანაგრძნობით.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეით შთაგონებული მწერალი დიდ მხატვრულ ტილოებს ქმნის სიყვარულის, მეგობრობისა და გმირობის ფონზე. როცა ვკითხულობთ „ელგუჯას“, „მამის მკვლელს“, „ელისოს“, „მოძღვარს“, „ციკოს“, ჩვენს თვალწინ წარმოდგება ხოლმე უტყუარი სურათები უსამართლობის წინააღმდეგ ხალხის მამაცური ბრძოლისა; ვკითხულობთ „ხევისბერ გოჩას“ და ვიმსჭვალებით ჩვენი სახელოვანი წინაპრებისადმი მოწიწებული პატივისცემით. ვეცნობით ალ. ყაზბეგის გმირებს—ელგუჯას, ელისოს, იაგოს, კობას, გოჩას, სვიმონ ჩოფიკაშვილს, მზალოს, ნუნუს, მაყვალას—და თითოეული მათგანის სახე ჩვენს მეხსიერებაში აღიბეჭდება, როგორც უსამართლობასთან მებრძოლი, მეგობრობისა და ზნემაღალი სიყვარულისათვის თავგანწირული რაინდის სახე.

ალექსანდრე ყაზბეგი მთელი თავისი შემოქმედებით მკითხველის გულში აღვივებს მგზნებარე პატრიოტულ გრძნობას და ამით იგი ეხმაურება ჩვენს თანამედროვეობას, საბჭოთა ადამიანის უმაღლეს მისწრაფებებს.

ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა გმირები სულით მაღალნი, მტკიცე ნებისყოფის ადამიანები არიან. მათ იციან ნამდვილი მეგობრობა, წმინდა, უმწიკვლო სიყვარული. მწერალი მკითხველში ნერგავს ქალისადმი ულრმესი პატივისცემის გრძნობას, გვიხატავს მამაც მანდილოსნებს, რომელთაც მამაკაცების გვერდით შეუძლიათ იბრძოლონ სამშობლოს დასაცავად.

თავისი ნიჭის მადლი არც მოზარდი მკითხველისათვის დაიშურა ალ. ყაზბეგმა. მისმა საყმაწვილო მოთხრობამ „მტრედმა“ საყოველთაო მოწონება ჰპოვა. იაკობ გოგებაშვილმა ამ მოთხრობას გულთბილი რეცენზია უძღვნა ავტორის სიცოცხლეშივე.

ალექსანდრე ყაზბეგი იმედიანად შეჰყურებდა სამშობლოს მომავალს, სწამდა, რომ მრავალტანჯული მამული თავისუფლების მზით განათდებოდა. ამანაც განაპირობა მისი მხატვრული მემკვიდრეობის უკვდავება ჩვენს დიად ქვეყანაში.

ალ. ყაზბეგის პორტრეტი
შესრულებულია მხატვარ გ. ჯაშის მიერ.



# გაუქმებული ბილიკი

გიორგი კეტაღმაძე

მხატვარი რ. ცუცქირიძე

მოთხრობა

მამა წინ მიდიოდა. იღლიაში ქაღალდის პარკი ჰქონდა გაჩრილი. პარკში მრგვალად დახვეული ორი ტომარა იდო. გიას ხელები ჯიბეში ჩაეწყო და მამას კვალდაკვალ მიჰყვებოდა. ზაქრო დროდადრო მოიხედავდა, გიას თვალს შეავლებდა, თითქოს რაღაც უნდა უთხრას და ვერ გადაუწყვეტიაო, მერე ისევ გზას განაგრძობდა. ბოლოს ხმადაბლა ჩაილაპარაკა, გზა შევამოკლოთო, და ბილიკზე გადავიდა. ბილიკი კოლმეურნეობის მანდარინისა და ფორთოხლის ბაღს მიუყვებოდა. შემოდგომაზე, როცა ნაყოფით დახუნძლული ტოტები ყვითლად აკიაფდებოდნენ, ამ ბილიკზე აღარავინ დადიოდა. თუმცა ამას აშკარად არავინ კრძალავდა. სოფლელები თვითონ ერიდებოდნენ აქ სიარულს, ვინმემ ჩვენზე ცუდი არაფერი იფიქროსო.

გვიმრას, ანწლსა და ჭიაფერას უკვე მოესწროთ დროებით გაუქმებულ ბილიკზე გადმოსვლა. აქა-იქ ბარდიც გადმოხრილიყო ღობის ძირებიდან. გიას უკვირდა — მამაჩემი ამ ბარდ-ეკალში რას მიძვრებაო, მაგრამ არაფერი უთქვამს. შინ მისვლა ეჩქარებოდა. ბიძაშვილის ნაჩუქარი „ტომ სოიერის თავგადასავალი“ გადაშლილი დატოვა მაგიდაზე და ახლა მთელი თავისი არსებით იქ იყო. წიგნის მიტოვება ისე შეეზარა, მამა მოატყუა კიდეც — გაკვეთილებს ვსწავლობო.

— აქ შევისვენოთ, — თქვა უცებ ზაქრომ, მიდამო მოათვალიერა, ღობის ძირას მიგდებული კუნძი გამოსწია და ჩამოჯდა. ქაღალდის პარკი ძირს დადო და ბიჭს ანიშნა, შენც დაჯექიო.

— არ დავღლილვარ, — უთხრა ბიჭმა.

იგი მოუსვენრად წრიალებდა. რაღა დროს შესვენებააო, ფიქრობდა.

ზაქრომ ზანტი მოძრაობით ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა, გააბოლა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ტყუილად არ ჩაგვიყვანა იმ სიშორეზე?

ზაქრო და გია ხორბლის მოსატანად იყვნენ წასული სოფლის მაღაზიაში. დღეს დილით ნოქარს უთქვამს ზაქროსთვის, ხორბალი უნდა მოვიტანო და მეზობლები გააფრთხილე, თუ უნდათ, დროზე წაიღონ, მაღაზიაში თაგვები შემიჭამენო.

— მართლა დაგპირდა? — ჰკითხა გიამ.

— აბა ტყუილად შევიწუხებდი თავს?

საღამო ხანი იყო. მზე ის-ის იყო ჩავიდა და სწრაფად ბინდდებოდა.

— მამა, მე წავალ,—თქვა გიამ,— შენ იჯექი, თუ გინდა... გაკვეთილები უნდა ვისწავლო.

ზაქრო ცოტა ხანს დუმდა. მერე ბიჭს ახედა და უთხრა:

— კარგი, წადი...

— ამ ტომრებს წავიღებ, — გია პარკს დასწვდა.

მამამ მაშინვე გამოგლიჯა ხელიდან.

— იყოს... — უთხრა გაკვირვებულ ბიჭს.

გიამ მამას თვალებში შეხედა. ეუცნაურა მისი ხმა. ზაქრომ პაპიროსის ნამწვი მიწაზე დააგდო, ქუსლით მისრისა. მერე წამოდგა, ღობეზე გადაიხარა. კარგა ხანს ათვალიერებდა ბაღს, თითქოს ვიღაცას ეძებსო. მერე შემობრუნდა და ბიჭს მზერა გაუსწორა.

— წადი, ბიჭო, რაღას უცდი...

— შენც წამოდი.

— მე რა მეჩქარება. წადი, ჰო... გაკვეთილები გაქვს სასწავლი.

გიაც მივიდა ღობესთან — გადაიხედა. ნელა ირხეოდნენ ნაყოფით დახუნძლული მანდარინის ხეები.

უცებ ღობეს მოსცილდა და შინისაკენ გასწია. ისე გარბოდა, თითქოს რაღაცის ეშინიაო. სწრაფად აიარა აღმართი. შეჩერდა, მოიხედა. თვალი მოჰკრა, როგორ გადაევლო მამა ღობეს და მანდარინის ხეებს შორის გაუჩინარდა.

ბიჭი კარგა ხანს იდგა და ყოყმანობდა. მერე აღმართი ჩაირბინა, ღობეზე გადაიხარა და დაიძახა:

— მამა!

— რა გინდა, ბიჭო? — ზაქრო ძლივს მოჩანდა სიბნელეში. — რატომ დაბრუნდი?.. გადმოდი ბარემ, მომეხმარე...

ზაქრო გამალებული გლეჯდა მანდარინებს და ჯიბეებში იტენიდა. როცა ჯიბეებს აივსებდა, დაიხრებოდა და ტომარაში ჩაყრიდა. მერე კვლავ კრეფას განაგრძობდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ზევით აიხედა. ბიჭი კვლავ ღობეზე გადმოხრილი რომ დაინახა, მისკენ წაიწია და ხმადაბლა უთხრა:

— რას დამდექი თავს ბრიგადირივით... ჩამოდი, ტომარა მაინც დამიკავე.

ბიჭმა ხმაურით მოამტვრია ღობეს შქერის წნელი. ხმა არ ამოუღია.

ზაქრომ ბუზღუნით თქვა:

— ნუ გეშინია, ამ გზაზე არავინ გამოივლის.

— არავისიც არ მეშინია, — განგებ ხმამაღლა თქვა ბიჭმა და კვლავ მოამტვრია ღობეს წნელი.

— ჩუმად... რა გაყვირებს.

— შენ გეშინია, მე კი არა!..

— კარგი, იყავი მანდ, — უთხრა ზაქრომ, — თუ ვინმე გამოჩნდეს, ნელა დაუსტვინე.

— მე შინ მივდივარ, — უთხრა ბიჭმა ხმამაღლა, — გაკვეთილები უნდა ვისწავლო.

— წადი, აბა, წადი!.. დროზე მოუსვი აქედან! — ზაქრო გაბრაზდა და ტომარა მიწაზე დააგდო. ტომარა წაიქცა და მანდარინები ტერასაზე ჩაცვივდა. ზაქრომ ისევ სტაცა ტომარას ხელი, ძირს დაყრილ მანდარინებს ხელის ფათურით ეძებდა და ბუზღუნებდა:

— ლაწირაკი... შენ გგონია, მიხარია, ამას რომ ვაკეთებ? ჩემთვის მინდა თუ? ხან კოსტუმი უნდა, ხან ფეხსაცმელი... წიგნის მაღაზიაში ფეხი თუ შეუცდა, ჯოხით ვერ გამოაგდებ, სანამ სამ-ოთხ სქელ წიგნს არ დაითრევს... ველოსიპედი?!.— მოაგონდა უცებ და თავი ასწია. ბიჭი რომ დაინახა, ხმამაღლა თქვა: ველოსიპედი რომ გიყიდე, კარგი იყო?!.

გია ღობეს მოსწყდა, თითქოს უეცრად მათრახი გადაუჭირესო. მერე წელმოწყვეტილივით შეუდგა აღმართს. ზაქრო კი ისევ ბუზღუნებდა და კრეფას განაგრძობდა.

გია პირაღმა იწვა ტახტზე და ჭერს მიშტერებოდა. ფანჯარა ღია იყო და ოთახში გრილი ნიავი ქროდა. დროდადრო ნათურაც შეტოკდებოდა და ოთახი მაშინვე მოძრავი ჩრდილებით აივსებოდა. ნათურასთან მოზრდილი პეპელა წრიალებდა. ხანდახან თავგანწირვით დაეძგერებოდა ნათურას და ზედ მოთეთრო მტვერს ტოვებდა.

— მამაშენი სადაა? — ჰკითხა დედამ.

— რა ვიცი...

— ხომ ერთად წამოხვედით?

გია დუმდა.

— სად წავიდა ნეტავი ის კაცი?— ახლა თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა, ქურასთან მივიდა და ათუხთუხებული ჩაიდანი ჩამოდგა.

„ველოსიპედი რომ გიყიდე, კარგი იყო?“

— დედა.

— რაო, შვილო?

— ამას წინათ მამამ მანდარინები რომ გაყიდა, ეზოში მოკრიფა?

ზაქროს აეროდრომიდან სამი მფრინავი ესტუმრა. აეროდრომი მდინარის გაღმაა, ველზე. მფრინავები რუსები იყვნენ, შვებულება აეღოთ და შინ მიდიოდნენ. ოცი-ოცდაათი კილოგრამი მანდარინი იყიდეს. კმაყოფილები იყვნენ. რა კარგი მანდარინი გქონიაო, უკვირდათ. ასეთი მწიფე მანდარინები სხვაგან არსად გვინახავსო. თუ კიდევ გაქვს, სხვებსაც გამოვგზავნითო, დაიბარეს და წავიდნენ. მეორე დღეს კი მამამ გიას ზაფხულის დანაპირები აუსრულა — ველოსიპედი უყიდა...

დედა იდგა და გაკვირვებული ბიჭს თვალებში შეჰყურებდა.

თუ წელს ყანაში მომეხმარები, ველოსიპედს გიყიდიო, დაჰპირდა მამა. მათი კოლმეურნეობის ყანები აეროდრომის ბოლოში იყო, მდინარის გაყოლებით. ზაქროსაც იქ ჰქონდა ყანა.

ზაფხულში გია მამასთან ერთად ყანას თოხნიდა. იქვე მდინარე ჩამოდიოდა და წყლის მხიარული ხმაური ახალტანაყრილი სიმინდის შრიალს ერთვოდა. შუადღეზე, მზე რომ დააჭერდა და ჩამოცხებოდა, ჩრდილში მოიკალათებდნენ და ისადილებდნენ. შემდეგ გია წყალში გადაეშვებოდა და რამდენჯერმე გასცურავდა გაღმა-გამოღმა. მამა კი ჩრდილში იწვა და დაღლილი თვალს ატყუებდა. ამ ბოლო დროს რატომღაც ხშირად ავადმყოფობდა და მუშაობაც უჭირდა. გიაც ატყობდა და ეცოდებოდა. ამიტომ ეხმარებოდა ასე გულდაგულ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ველოსიპედის შეძენის სურვილიც დიდი იყო. მამა მხოლოდ საღამოს ჩავიდოდა წყალში, სწრაფად იბანავებდა ნაპირთან და ტანთ ჩაიცვამდა. მერე, სანამ გია წყალში ჭყუმპალაობდა, მარგვლის დროს მოჭრილ სიმინდს მოაგროვებდა, თოკით შეკრავდა და ზურგზე მოიგდებდა.

— გაიხარებს ჩვენი ლამაზა, — იტყოდა ღიმილით, როცა გიაც მოსძებნიდა რამდენიმე ღეროს და გზას გაუდგებოდნენ. დაღლილ-დაქანცული ზაქრო ამაყად წელგამართული მიდიოდა შინისაკენ. უხაროდა და ემაყებოდა, რომ ბიჭი მოესწრო და ყანაში ასე მუყაითად ეხმარებოდა.

— ეზოში მოკრიფა მანდარინები? — გაიმეორა გიამ შეკითხვა.

— აბა სად მოკრეფდა?

— იქ... ქვემოთ, ბაღში.

დედა ერთხანს დუმდა. ბიჭს თვალებში შეჰყურებდა. მერე ამოიოხრა და ჰკითხა:

— ახლაც იქაა?

— ჰო...

დედა აწრიალდა. ისევ აანთო ქურა და კვლავ შედგა ზედ ჩაიდანი. მაშინვე გაისმა ორთქლის შიშინი.

— ეზოში მოვკრიფეთ, — თქვა უცებ დედამ, — ეზოში!..

— არა! — იყვირა ბიჭმა, — ტყუილია!..

წამოხტა, აივანზე გავარდა, ველოსიპედს ხელი დასტაცა, მოიქნია და ეზოში გადააგდო.

დედა ფანჯარასთან მივიდა. ეზოში სიბნელე იყო, მაგრამ დაცემის ხმაზე მიხვდა, ველოსიპედი რკინის ჭიშკარს მოხვდა და გზაზე გადავარდა.

„დაიმსხვრა“, გაიფიქრა ქალმა... ცრემლებს იწმენდდა და თავისთვის ხმადაბლა ლაპარაკობდა:

— საწყალი ბიჭი... დიდია უკვე... ჰოდა, ძალიან კარგი. ასეც უნდა ექნა... ახლა მაინც ისწავლის ჭკუას ის კაცი...

●

გია აივანზე იჯდა. სიბნელეს მიშტერებოდა უძრავი თვალებით. ცრემლები ლოყებს უწვავდა. ადრევე გაიგონა მამის ფეხის ხმა. მისი ქშენაც ესმოდა. ეტყობა, საკმაოდ მძიმე ტვირთი მოჰქონდა. მერე ბიჭმა კარგად დაინახა მამა, ჭიშკართან რომ მოვიდა ტომრის სიმძიმით წელში მოხრილი. უეცრად ფეხი ველოსიპედს წამოჰკრა, ტომარა ფრთხილად ჩამოიღო და ველოსიპედის ასაღებად დაიხარა.

— გამოდი, ბიჭო, გარეთ!.. შენია ეს ველოსიპედი თუ არა?.. გამოდი ახლავე... თორემ ვისროლე ხრამში!..

იქვე, ღობის იქით, ხევი იყო. ხევში პატარა ღელე ჩამოდიოდა. ღელე ზაფხულობით შრებოდა. მხოლოდ წვიმების დროს გამოცოცხლდებოდა და ხევს ხმაურით აავსებდა.

— ვისვრი ღელეში და ეძებე მერე! — იმუქრებოდა ზაქრო, მაგრამ გია ხედავდა, მამა ველოსიპედს კიბისაკენ მოაგორებდა.

— გადააგდე! — დაუძახა გიამ აივნიდან, — გადააგდე!.. არ მინდა თქვენი ველოსიპედი.. არ მინდა!...

გიას ისევ მოაწვა ცრემლები. ყელში რაღაც გაეჩხირა და ხმა ჩაუწყვიტა. ველოსიპედი მისი დიდი ხნის ოცნება იყო.

— არ გინდა ხომ? — აენთო ზაქრო და აივნისაკენ აიხედა, — ახლა აღარ გინდა? მე ვუშოვი ამას პატრონს. შენს ბიძაშვილს თემოს ვაჩუქებ ხვალვე... აქამდე ლამის ლოგინში იწვენდა ველოსიპედს... ახლა აღარ უნდა!

— ვისაც გინდა, იმას აჩუქე! — როგორც იქნა ხმა ამოიღო გიამ.

— კარგი,. ბატონო, ვაჩუქებ!.. ზაქრო ჭიშკრისაკენ მიბრუნდა. — თემო შენსავით უმადური არაა, მადლობას მაინც მეტყვის.

ზაქრომ მანდარინით სავსე ტომარა ზურგზე მოიკიდა, ჯერ ეზოში შეიტანა, მერე სარდაფში დამალა და სამზარეულოში შევიდა. ქალი ისევ ქურასთან ფუსფუსებდა. თან ჩუმ-ჩუმად იწმენდდა ცრემლებს.

— რა დაგემართათ?! — გაიკვირვა ზაქრომ, — რამ გადაგრიათ დღეს დედა-შვილი?

ქალმა ხმა არ გასცა.

— ხომ გაიგონე: წავიღებ იმ ველოსიპედს და თემოს ვაჩუქებ-მეთქი...

— ვის რაღად უნდა ახლა ის ველოსიპედი?—უთხრა ცოლმა,—აივნიდან გადააგდო... რომ გაიგო, რით იყო ნაყიდი, აივანზე ავარდა და გადააგდო.

— რაო? — შეხტა ზაქრო, — გადააგდო?.. თვითონ გადააგდო?!

ქალი კვლავ გაჩუმდა, ფანჯარასთან იდგა ქმრისკენ ზურგშექცეული.

„ასეც უნდა ექნა, — ფიქრობდა იგი დიდად კმაყოფილი, — ასეც უნდა ექნა...“



# ბიბლიოთეკარის ჩანაწერები

ზამთრის ცივი ქარი ქრის. რის ვაივაგლახით ჩავაღწიე ავჭალის გზატკეცილამდე. ბედად ავტობუსი ჩამოდგა. მომდევნო გაჩერებაზე ავტობუსში რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. როგორც კი მანქანა დაიძრა, ყველამ ერთბაშად დაუძახა მძღოლს, — გააჩერეო.

წინა კარიდან ვიღაც გოგონა ჩავიდა. უნებურად გავაყოლე თვალი. ავტობუსი ისევ დაიძრა. ერთბაშად ყველა ალაპარაკდა:

— ასე უპატრონოდ როგორ გამოუშვეს შინიდან?!

მამაკაცს, რომელმაც მძღოლს პირველად დაუყვირა, გააჩერეო, ვკითხე, რაშია საქმე-მეთქი.

— კარგად არც მე ვიცი. ბავშვი საავადმყოფოს კითხულობდა, მაგრამ რომელს — თვითონაც არ იცოდა. ვუთხარი აქ ჩამოსულიყო, რაიმე ტრანსპორტს უკან გაჰყოლოდა და მერე ზღვისკენ მიმავალ ტრამვაიში გადამჯდარიყო. იქ არის ბავშვთა მესამე საავადმყოფო.

სამსახურში უგუნებოდ მივედი. არ მასვენებდა ფიქრი: ვინ იყო ის წელში წახრილი გოგონა, რა უჭირდა...

სამუშაოს დამთავრების შემდეგ მესამე საავადმყოფოში წავედი.

— დღეს ხომ არ მიგიღიათ გოგონა, ასე ცხრა-ათი წლისა, კუზიანი? — ვიკითხე მიმღებში.

— არა, — მიპასუხა მორიგე ექიმმა. როცა ყველაფერი ვუამბე, მითხრა: № 9 ავტობუსში თუ იჯდა, ეტყობა, ვიღაცას მიუსწავლებია ზემო ავჭალის სანატორიუმის გზა — იქ არის სპეციალური სკოლა-სანატორიუმი პოლიომიელიტით დაავადებულ ბავშვთათვის.

აი, სანატორიუმი „გაზაფხულიც" — ნაძვნარში ჩაფლული, მომწვანო-მოცისფრო ორსართულიანი ლამაზი შენობა დეკორატიული ბაღით.

სანამ ადმინისტრაციულ სახლში შევიდოდი, ეზოში შევჩერდი, სადაც ბავშვები გამოშლილიყვნენ და ერთი ჟივილ-ხივილი იდგა.

ვუყურებდი მათ და გული მეკუმშებოდა — უნდოდათ ერბინათ და ვერ ახერხებდნენ. ავადმყოფობას სხვადასხვა ფორმა მიეცა მათი სხეულის ამა თუ იმ ნაწილისათვის.

„ამ ავადმყოფთაგან ალბათ ყველა ვერ განიკურნება მთლიანად. გაიზრდებიან და უფრო მწვავედ იგრძნობენ თავიანთ ფიზიკურ ნაკლს. ამიტომ აუცილებელია წიგნების დახმარებით მათში კეთილი ფიქრების, კეთილი მისწრაფებების გაღვიძება, ჩაგონება, რომ ისინი სასარგებლონი არიან ადამიანებისათვის"... — ვფიქრობდი გუნებაში.

მიმღებში ვუხსნი მისვლის მიზეზს, თან ჩემს ფიქრს ვუზიარებ.

— ძალიან კარგი რამ გიფიქრიათ. ოღონდ დირექტორს უნდა შეუთანხმდეთ, — მითხრეს.

— ორმოცდამეერთე მასობრივი ბიბლიოთეკიდან ვარ, — გავეცანი სანატორიუმის დირექტორს დიმიტრი დუშუაშვილს, — მინდა თქვენს ბავშვებს წიგნები მოვუტანო, წავუკითხო, ვესაუბრო.

დირექტორი ხალისით დამთანხმდა.

დავთქვით, რომ ვივლიდი ხუთშაბათობით, დღის პირველ საათზე...

პირველი ნაწარმოები, რომელიც ბავშვებს წავუკითხე, ოსკარ უალდის „ბედნიერი უფლისწული" იყო. ბავშვები გასუსულები მისმენდნენ. ვგრძნობდი, აღმზრდელებიც კმაყოფილი იყვნენ.

•

დღეს, დილით, სანატორიუმის ბავშვებს კონცერტი ჩაუტარებიათ. ვერ მივუსწარი. მეწყინა.

— სამ საათზე, ფილარმონიისა და ცირკის მსახიობები გვეწვევიან. კარგი იქნება, თუ თქვენც დაესწრებით, — მითხრა სანატორიუმის დირექტორმა.

ბავშვებს ვურიგებ წიგნებს. მერე კი, სანამ სადილობის დრო მოაღწევდეს, მამინ-სიბირიაკის მიერ მაწანწალა ძაღლის სევდიან თავგადასავალზე დაწერილ პატარა მოთხრობას — „პასტორიკოს" ვუკითხავ.

სამ საათზე კვლავ სანატორიუმში, პირველ სართულზე მოთავსებულ საკონცერტო ოთახში ვზივარ. ჩემს გვერდით ორი ლამაზი გოგონა განაბულა. ერთი შეხედვით ავადმყოფობისა არაფერი ეტყობათ.

ზედა სართულიდან აღმზრდელებს რიგრიგობით ჩამოჰყავთ ბავშვები.

— კიდევ დარჩა ვინმე ზევით? ვიკითხე.

— მხოლოდ მძიმე ავადმყოფები, — მეუბნება აღმზრდელი მარგო გოგოლაური.

სცენაზე მსახიობები შემოვიდნენ.

პატარები ინტერესით უსმენენ მუსიკას, სიმღერებს, ხარხარებენ ილუზიონისტის ოინებზე...

ჩემი ფიქრები კი მეორე სართულზე მწოლიარე ბავშვებს დასტრიალებს:

„აი, მომაქვს წიგნები, ვუკითხავ, მართალია, მძიმე ავადმყოფებს, მაგრამ ასე თუ ისე ფეხზე მდგომებს, რომელთაც სიარული შეუძლიათ. ისინი მწოლიარე ტოლებს მოუყვებიან წაკითხულის შინაარს, მაგრამ საკუთარი ყურით მოსმენილი მაინც სულ სხვაა.

მომავალ ხუთშაბათს უთუოდ ვეწვევი ლოგინს მიჯაჭვულებს და იქ წავუკითხავ ყველას ერთად".

•

...ხუთშაბათი. მწოლიარეთა ოთახში მაგიდას ვუზივარ. ავადმყოფებს სათითაოდ ვათვალიერებ.

— მიამბეთ რაიმე ამ ბავშვებზე. აი, თუნდაც იმ ბიჭუნაზე, — ვთხოვ დილის ცვლის აღმზრდელს.

— ვახტანგი ჰქვია. გონიერი ყმაწვილია. აქ რომ მოიყვანეს, მთლად კუტი იყო. ახლა კი უკვე თავისით დაჩოჩავს იატაკზე, თავისით სჭამს...

მეორე საწოლზე, რაღაც უცნაურ დგამზე, ათიოდე წლის ბიჭი ზის. მის წინ მაგიდასავით გამართულ ფიცარზე პლასტილინის ფიგურები აწყვია.

— ამ ბავშვს ჩვენ ვაჭმევთ, ვაწვენთ, — ამბობს აღმზრდელი.

ვიწყებ საუბარს.

— ბავშვებო, სანამ რაიმეს წაგიკითხავდეთ, მოდით ერთმანეთს გავეცნოთ. მე ვმუშაობ ბიბლიოთეკაში, სადაც უამრავი წიგნია. იქ ბევრი თქვენი თანატოლი დადის მახლობელი სკოლებიდან. რაკი თქვენ ჯერჯერობით სიარული არ შეგიძლიათ, მე ვივლი აქ და გაგაცნობთ საინტერესო წიგნებს. დღეს, მაგალი-

თად, წაგიკითხავთ განთქმული დანიელი მწერლის ანდერსენის ზღაპარს „მახინჯი იხვის ჭუჭული“.

და ჩემ ნორჩ მსმენელებს ვუყვები ანდერსენის გარეგნულ სიმახინჯეზე, თუ როგორ მწვავედ განიცდიდა, თავის უსახურობას. სამაგიეროდ, რაოდენ ხიბლავდა ყველას თავისი დიდი ადამიანობით, სულიერი სილამაზით, რაც მის ყველა ზღაპარში გამოსჭვივის.

ბავშვები თვალგაფართოებული მისმენენ, ახარებთ ზღაპრის ფინალი...

— ხუთშაბათს კიდევ მოვალ, — დავპირდი პატარებს.

— დიდი მადლობა, დეიდა,—მეუბნება ვახტანგი.

ამჯერად პაგანინიზე, გენიალურ მევიოლინეზე მოვუთხრობ ბავშვებს.

— ნიკოლო პაგანინი 180 წლის წინათ ცხოვრობდა. ტოლები აგდებით ეპყრობოდნენ, რადგან ძალიან შეუხედავი იყო. როგორც „მახინჯი იხვის ჭუჭულის“ ავტორს, მასაც არანორმალურად გრძელი მკლავები ჰქონდა, თითქმის მუხლისთავებამდე სწვდებოდნენ. ფეხები — მოგრეხილი, ტერფი — უზომოდ დიდი, ქვედა ყბა — წინ გამოწეული. ამასთან ძალზე გამხდარი და ავადმყოფი იყო. საკუთარი მამაც კი მახინჯს და მაიმუნს ეძახდა. იგი ღარიბთა თავშესაფარში დაიბადა და იტალიის ერთ-ერთ ულამაზეს მხარეში, გენუაში ცხოვრობდა. გენუას სამი მხრივ ზღვა აკრავს და თავისი ალპიური მდელოებით ცოტათი ჩვენს საქართველოს წააგავს. იქაურ მცხოვრებლებს უყვართ სიმღერა და კარგადაც მღერიან.

წვიმის დროს თანატოლებთან ერთად თამაშობდა, რუებსა და გუბურებში ქაღალდის ნავების გაშვებით ერთობოდა.

მას ესმოდა წყალზე, მიწაზე წვიმის წვეთების წკაპუნის თავისებური ხმა. ბუნებაში რაც კი ხმები არსებობდა, ყველას იჭერდა მისი მახვილი სმენა.

ერთხელ პატარა ნიკოლომ გიტარა აიღო და ეს ხმები თავისებურადააჟღერა... სწორედ მაშინ მიხვდა მამამისი, თუ რა მუსიკალური ნიჭი ჰქონდა ვაჟს და გადაწყვიტა ეს ნიჭი ფულის გასაკეთებლად გამოეყენებინა. შვილს ვიოლინო მიაჩეჩა ხელში და აიძულებდა ყოველდღე საათობით საკუჭნაოში ჩაკეტილს დაეკრა.

ბავშვებო, ყველაფერი ეს იმიტომ გიამბეთ, რომ პაგანინი, რომელსაც მახინჯს, მაიმუნს, ურჩხულს ეძახდნენ, მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსი, სწორუპოვარი მევიოლინე, დიდი ადამიანი გახდა, დიახ, დიდი ადამიანი.

ერთ-ერთ ქვეყანაში, სადაც იგი კონცერტებს ატარებდა, გაზაფხულის პირზე წყალდიდობამ ასიათასობით ადამიანი დატოვა უსახლკაროდ. პაგანინიმ კონცერტებიდან აღებული უზარმაზარი თანხა გაიღო ამ გაუბედურებული ხალხის დასახმარებლად.

ერთხელ, ბოროტმა, შურიანმა ადამიანებმა ასეთი რამ მოუწყეს.

როგორც უკვე ვთქვი, მას ძალიან დიდი ტერფი ჰქონდა და მისი სარგო ფეხსაცმელი იშვიათად იშოვებოდა. ჰოდა, კონცერტზე გამოსვლის წინ ფეხსაცმელები მისმა მტრებმა მოიპარეს. პაგანინიმ დაინახა, რომ სასტუმროს წინ, სადაც იგი დროებით ცხოვრობდა, ფეხსაცმლის მაღაზია იყო. ფლოსტებით შევიდა მაღაზიაში და იკითხა — ჩემი სარგო ფეხსაცმელი ხომ არ გაქვთო.

ნოქარმა გადმოიღო პაგანინისათვის საგანგებოდ შერჩეული ერთადერთი წყვილი ფეხსაცმელი, რომელშიც დაფხშვნილი შუშა ეყარა. (ნოქარი მოსყიდული იყო).

სცენაზე მყოფს ფეხისგულებიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ მაინც ბრწყინვალედ უკრავდა.

მოშურნეებმა, თურმე, ვიოლინოს სიმებიც გადაუჭრეს ჩუმად, მაგრამ გენიალურმა მუსიკოსმა ერთ სიმზე დაკვრითაც გააოცა მსმენელები.

პაგანინის ცხოვრების მთელ მანძილზე თან სდევდა სულმდაბალ კაცუნათა შური, მაგრამ იგი მაინც პაგანინად დარჩა.

ბავშვებო, ცუდი და კარგი ადამიანები ყოველთვის იყვნენ და არიან. კარგები ყველას უყვარს, ცუდები კი ყველას სძულს. ახლაც, როცა ვკითხულობთ პაგანინის ცხოვრების ამბავს, ყველას გვეზიზღება ისინი, ვინც სიცოცხლეს უწამლავდნენ უდიდეს შემოქმედს...

ვუყვები, თანაც ვაკვირდები ბავშვთა სახეებს, მინდა გავიგო, რა გავლენას ახდენს მათზე ჩემი ნაამბობი.

პირველად ნოდარის ჭკვიან თვალებს დავაცქერდი. მისი ლამაზი სახე, ავადმყოფობისაგან გვერდზე გადაწეული თავი თეთრ-მოლურჯო შროშანას მაგონებს.

აგერ მერაბი, ხვალ მშობლებს ელის შორეული რაიონიდან, სანატორიუმი, სხვებთან ერთად, მასაც გზავნის ახტალაზე სამკურნალოდ.

აგერ ფეხზე ამდგარა ლალი, ყავარჯნებს დაყრდნობია, სუნთქვაშეკრული ისმენს ჩემს ყოველ სიტყვას.

თვალს ვაშორებ ლალის და უნებლიეთ მამუკას ვეძებ, თუმცა ვიცი, რომ იგი აქ რა ხანია აღარ არის.

მამუკა სანატორიუმში ჩემი პირველი მისვლისას გავიცანი. ეზოს აუზში ბურთი ჩავარდნოდა და ყავარჯნის წვერით მის ამოღებას ცდილობდა... ეს ხუჭუჭთმიანი ბიჭუნა უდედმამო ბავშვთა სახლიდან მოეყვანათ. მოჯობინდება თუ არა, უკანვე წაიყვანენ.

— ახლა კი, ჩემო კარგებო, — მივუბრუნდი ჩემს ირგვლივ მყოფთ, — გინდათ წაგიკითხოთ, რას ვწერ თქვენს მეგობარ მამუკას?

— გვინდა, გვინდა, — ახმაურდნენ ბავშვები.

ჩანთიდან ვიღებ წერილს:

„მამუკა, ძალიან დამწყდა გული შენი მოულოდნელი წასვლით. შენ ხომ ჩემი პირველი ნაცნობი და მსმენელი იყავი.

იმაზეც მწყდება გული — ერთხელ, მიუხედავად შენი დიდი ხვეწნისა, ვერ მოგეცი წიგნი, რადგან იმჯერად სხვებს ჰქონდათ და ამით გულნატკენი დარჩი. სამაგიეროდ, შემდგომ მოსვლისას შენთვის ერთის მაგივრად სამი წიგნი მომქონდა, თანაც ბიბლიოთეკიდან კი არა, შინიდან, შენთვის საგანგებოდ შერჩეულები. მაგრამ შენ უკვე აღარ დამხვდი სანატორიუმში.

როგორა ხარ, როგორ მოგწონს იქაურობა? თუ გაქვთ ბიბლიოთეკა, რომ წიგნები იკითხო?.

სანატორიუმში ზეიმი ჩაატარეს. გავიცანი მუსიკის მასწავლებელი ნინო, რომელმაც მითხრა: მამუკა კარგი ბავშვი არის და აქ ყველას უყვარდაო. მთელი კონცერტი მამუკას მიჰყავდა ხოლმეო. შენ თურმე ხმაც კარგი გქონია.

როგორ მოეწყვე მანდ? მომწერე შენი ფიქრების, ჯანმრთელობის შესახებ. მოგიკითხა ნინო მასწავლებელმა, ნელიმ —შენმა მკურნალმა ექიმმა, აღმზრდელებმა — მარგომ, ცაცამ, დოდომ და სხვებმა...“

— დეიდა, ჩვენი მოკითხვაც მისწერეთ რა მამუკას, — მთხოვენ ბავშვები. გულში მიხარია. მიხარია, რადგან პაგანინიზე, მის ადამიანობაზე თხრობა და მამუკასათვის გასაგზავნი წერილის შინაარსი განგებ დავუკავშირე ერთმანეთს, რათა გამეგო ბავშვთა გრძნობები მეგობრის მიმართ.

დღეს ჩემი მერვე საუბარია.

— თითოეულ თქვენგანს; უთუოდ, სურს გამოვიდეს ექიმი, ინჟინერი, მასწავლებელი, აგრონომი. შესაძლებელია, ზოგიერთი ცნობილ კაცად გახდომაზეც ოცნებობს!

ზოგს ამისათვის კიდეც გააჩნია თანდაყოლილი ნიჭი, მაგრამ უშრომლად მაინც არაფერი გამოვა.

ამასთან დაკავშირებით დღეს მინდა გიამბოთ ერთ ადამიანზე — პოეტსა და მასწავლებელზე.

ეს კაცი თბილისში დაიბადა და გაიზარდა, აქ დაამთავრა საშუალო სკოლა,



უმაღლესი. იგი ჩვეულებრივ სკოლაში როდი მუშაობს. იმ სკოლის მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც უსინათლონი არიან. ჩვილი იყო, როცა თვალისჩინი დაკარგა, მაგრამ მონდომებითა და თავდადებული შრომით მიაღწია იმას, რომ დღეს მას ყველა იცნობს, პატივს სცემს. მისი სახელი და გვარი ვახტანგ ძნელაძეა.

მას რამდენიმე წიგნი აქვს გამოცემული. წაგიკითხავთ მის იმ ლექსებს, რომლებშიც გამოხატული აქვს მწვავე განცდა და საყვედური ბუნებისადმი იმის გამო, რომ ვერ ხედავს მზის სინათლეს.

ამასთანავე ისიც უნდა გითხრათ, რომ ეს პოეტი სასოწარკვეთილი კი არ არის, არამედ მხიარული და ხალისიანია. ხალისს კი ბადებს შრომა.

ვახტანგ ძნელაძე თავის ლექსებში გატაცებით უმღერის სიცოცხლეს, მზეს, ფერებს, ადამიანებს, სამშობლოს.

ყოველ თქვენგანსაც არის უთუოდ რაღაცის უნარი და იგი არ დაიკარგება, თუ შეიყვარებთ წიგნს — ცოდნის წყაროს.

თქვენს კონცერტზე ტყუილად არ უმღეროდით სამშობლოს, ადამიანებს, აღმზრდელებს, მასწავლებლებს. ადამიანები ზრუნავენ თქვენზე. და თქვენც გული არ უნდა გაიტეხოთ, იმედი უნდა გქონდეთ, რომ გახდებით კარგი ადამიანები, კარგი მოქალაქენი, შესაძლოა სახელიც მოიხვეჭოთ.

გიამბობთ კიდევ ერთ საოცარ ადამიანზე. თბილისში გაიზარდა აგრეთვე სანდრო დადეშქელიანი, კაცი, რომელსაც დაბადებითვე მკლავები არ ჰქონდა, მაგრამ საბჭოთა ცირკის ერთ-ერთი სახელგანთქმული მსახიობი გახდა. მას იცნობდნენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე უცხოეთშიც.

სანდრო ფეხის თითებით ხატავდა, წერდა, მიზანში ისროდა დამბაჩას, ჭამდა დანა-ჩანგლით. ერთი სიტყვით, ისე ხმარობდა ფეხებსა და ფეხის თითებს, როგორც ჩვენ — ხელებს.

ეს მაგალითები იმაზე მეტყველებს, რომ თქვენ იმედით უნდა უყურებდეთ მომავალს, რადგან ყველა პირობა გაქვთ შექმნილი ნიჭისა და უნარის გამოყენებისათვის. მთავარია სულიერი სიმშვიდე და შრომის სურვილი.

●

...ვფიქრობ ბავშვებთან მომავალი საუბრების თემაზე.

გეგმაში მაქვს ქართველი საბავშვო მწერლების მოთხრობების და ლექსების წაკითხვა. შემდეგ გადავალ მოცულობით უფრო დიდ ნაწარმოებებზე, როგორიცაა ბ. პოლევოის „ამბავი ნამდვილ ადამიანზე", ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი", ა. მედვედევის „სულით ძლიერნი", ჯეკ ლონდონის მოთხრობები და ა. შ.

მხატვრული ლიტერატურა ადამიანთა სულის გათბობის უდიდესი საშუალებაა. ვერავითარი ჩაგონება ვერ მოქმედებს იმდენად, რამდენადაც მხატვრული ნაწარმოები და, რადგან ეს ასეა, იგი ერთ-ურთი უძვირფასესი წამალია ისეთი არსებებისათვის, როგორიც არიან სანატორიუმ „გაზაფხულის" ბინადარნი.

●

დღეს ოცდაოთხი მაისია. უკანასკნელად დავუტოვებ წიგნებს, უკანასკნელად ჩავატარებ საუბარს... უკანასკნელად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ოცდაცხრა მაისს საგაზაფხულო გამოცდები აქვთ, ოცდათერთმეტში კი ახტალაზე მიჰყავთ სამკურნალოდ.

ბავშვები, ზოგი სკამზე ჩამომსხდარი, ზოგიც მწოლიარე, მიცდიან იმ ოთახში, სადაც მათთვის ტელევიზორი დგას.

ვიწყებ საუბარს ბრძენი მეიგავარაკის, გარეგნულად უმახინჯესი ადამიანის — ეზოპეს ცხოვრებაზე. ვუკითხავ რამდენიმე იგავს... შემდეგ კი ყველას ცალ-ცალკე ვემშვიდობები.

მივდივარ და გულში ხმიანობს სიტყვები: „ჩემო პატარა მეგობრებო, მე გტოვებთ დროებით, ისევ დაგიბრუნდებით შემოდგომაზე... თქვენთან რომ მოვდიოდი, არც წვიმას, არც ქარს, არც სიცივეს, არც სიცხეს არ შევუჩერებივარ... ასე იქნება შემდგომაც. იცოდეთ, არასოდეს დაგივიწყებთ. სულ დამავიწყდა თავის დროზე თქვენთვის მეამბნა ერთ ავადმყოფ გოგონაზე. მისმა დაკარგულმა კვალმა თქვენთან მომიყვანა და თქვენი თავი მაპოვნინა...

●

სხვა ბიბლიოთეკებისათვის დახმარების გასაწევად თბილისის ა. ჯაფარიძის სახელობის საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შეიქმნა ახალი განყოფილება — გაცვლითი ფონდი. ვისარგებლე ამით და აღნიშნული ფონდის გამგის ლ. ბოკუჩავას ხელშეწყობით სანატორიუმის პაციენტებს საჩუქრად გადავეცით 770 დასახელების საბავშვო წიგნი, რამაც დიდად გაახარა ჩემი პატარა მეგობრები. ამიერიდან მათ ექნებათ საკუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც თანდათან გამდიდრდება ახალ-ახალი წიგნებით.

მარიამ შამფრიანი.



ეროვნული ბიბლიოთეკა



# გიყვარდეთ ფეხბურთი!

სპორტის დამსახურებული ოსტატი გაიოზ ჯეჯელავა იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ღრმა კვალი დატოვეს საბჭოთა სპორტში, კერძოდ კი დიდი წვლილი შეიტანეს ფეხბურთის განვითარებაში. იგი 1937 წლიდან 1948 წლამდე გამოდიოდა თქვენი საყვარელი გუნდის, თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში. ეს ჩინებული მარჯვენა გარემარბი სამჯერ პირველ ნომრად აღინიშნა ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში, ხოლო 1940 წელს საბჭოთა კავშირის 10 საუკეთესო სპორტსმენთა შორის მოხვდა. მწვანე მოედანს რომ გამოეთხოვა, გ. ჯეჯელავამ ფეხბურთელთა მომავალი თაობის აღზრდა ითავა და ერთ ხანს უფროს მწვრთნელად მუშაობდა ყოფილ 35-ე საფეხბურთო სკოლაში, სადაც თავის დროზე აღიზარდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატები: ავთანდილ ჭკუასელი, ზაურ კალოევი, შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე, მიხეილ მესხი და ტყავის ბურთის სხვა გამოჩენილი რაინდები.

წარსულში სახელმოხვეჭილი ფეხბურთელის ეს საუბარი, იმედია, დაგეხმარებათ ფეხბურთის ანბანის შესწავლაში.

— ჩემო პატარა მეგობრებო, ვიცი, როგორ გიყვართ სპორტი, როგორ მოუთმენლად ელოდებით ფიზკულტურის ყოველ გაკვეთილს, ეზოში გასვლას, თამაშს.

ფიზკულტურისა და სპორტისადმი თქვენი მისწრაფება მისასალმებელია, რადგან უამისოდ წარმოუდგენელია მომავლის მშენებელი ადამიანის აღზრდა. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა სპორტის შემდგომ განვითარებას.

როგორც ძველი ფეხბურთელი და უფროსი მეგობარი, გულწრფელად გეტყვით: არ მეგულება სპორტის მეორე ისეთი სახეობა, რომელიც ფეხბურთის მსგავსად უწყობდეს ხელს მოზარდის ფიზიკურ წრთობას და გონებრივ განვითარებას, უღვივებდეს მას წარმოსახვას, უნერგავდეს დამოუკიდებელი აზროვნების ჩვევას. კარგად დააკვირდით, რაოდენ ინტელექტუალური თამაში გახდა ფეხბურთი ბოლო ხანებში, რამდენი აზრი და ფანტაზიაა ჩაქსოვილი თითოეულ მატჩში.

თქვენს მამებსა და პაპებს თავდავიწყებით გვიყვარდა ფეხბურთი. ერთ ასეთ ფაქტს გავიხსენებ საკუთარი ცხოვრებიდან: მოსწავლეობისას კაკლისოდენა რეზინის ბურთი მქონდა. სკოლაში რომ მივდიოდი, თითქმის საკლასო ოთახამდის მივათამაშებდი. გაკვეთილების დამთავრების შემდეგაც იგივეს ვაკეთებდი სკოლიდან სახლამდე. ერთხელ ის ბურთი სადღაც დამეკარგა. უსაზღვრო იყო მწუხარება, მაგრამ რა უნდა მექნა? მსგავსი ბურთი ვეღარ ვიშოვნე და იგი რიყის მრგვალი კენჭით შევცვალე. ამის გამო ყოველდღე მშობლების საყვედური მესმოდა — უმოწყალოდ ვცვეთდი ფეხსაცმელს, განსაკუთრებით კი მარჯვენას. მესმოდა მშობლების წუხილი, მაგრამ რა მექნა — მიყვარდა ფეხბურთი.

ამას წინათ, როდესაც მიუნხენიდან მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს გადმოსცემდნენ ტელევიზიით, სულზე მივუსწარი რეპორტაჟის დაწყებას და წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება — ეზოში დავინახე მასლაათში გართული ბიჭები. მათ თითქოს შერცხვათ და მითხრეს — ახლა უნდა ავიდეთო სახლში. გული დამწყდა, რატომ არიან ასე გულგრილი ფეხბურთისადმი-მეთქი. უფრო მეტად კი იმან შემაწუხა, რომ, როგორც შემდეგ შევიტყვე, ისინი თურმე მხოლოდ ჩემი პატივისცემით მიდიოდნენ რეპორტაჟის საყურებლად. მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველა ეზოში ასე არ იყო: იმ საათებში უთუოდ მრავალმა თქვენმა თანატოლმა უარი თქვა ყველა სხვა სიამოვნებაზე, ჩართო ტელევიზორი, მოხერხებულად მოკალათდა სკამზე და გულისფანცქალით დაელოდა საინტერესო ასპარეზობის დაწყებას... ამიტომ მე, ძველი ფეხბურთელი, ამ წერილს მხოლოდ იმათ ვუძღვნი, ვისაც გატაცებით უყვარს ბურთი და მწვანე მოედანი.

თქვენ, უთუოდ, გაგიგიათ პაიჭაძისა და პელეს, დი სტეფანოსა და ღოღობერიძის, გარინჩასა და მესხის სახელები... თქვენს ასაკში ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ თქვენგან: ზოგი ნაჭრის ბურთს დასდევდა, ზოგი კონსერვის ცარიელ ქილას, მაგრამ ფეხბურთის თამაში ყველამ ეზოში დაიწყო და შემდეგ ცნობილი ადამიანი გახდა.

ცხადია, უფროსებთან ერთად თქვენც, პატარებსაც, არ მოგწონთ დღვანდელი თბილსის „დინამოს" თამაში. ვინ მოთვლის, რამდენი საყვედური ისმის დღეს თანამედროვე ქართული ფეხბურთის მისამართით. მაგრამ დადგება დრო და სწორედ თქვენს შორის შეირჩევა ის ფეხბურთელები, რომლებიც შეცვლიან დღევანდელ თაობას. გიფიქრიათ, ბავშვებო, ამაზე?.

თუ გიფიქრიათ და გსურთ გახდეთ საქები ფეხბურთელები, მაშინ უსმინეთ ჩემს რჩევა-დარიგებას: უპირველეს ყოვლისა, გიყვარდეთ ბურთი — რეზინის, ტყავის, დიდი, პატარა... ეცადეთ, იგი იყოს თქვენი მორჩილი. თავდაპირველად ბურთი წინააღმდეგობას გაგიწევთ, მაგრამ ნუ შეშინდებით. იცოდეთ, მხოლოდ დაბრკოლებაც დაძლევა აგღზრდით მებრძოლებად, ათლეტებად. სასურველია, პატარა ბურთით დაიწყოთ თამაში, შემდეგ კი, ასაკის მატებასთან ერთად, გაზარდოთ მისი მოცულობა. მთელი საიდუმლოება ისაა, რომ სასურველია ბურთი ფეხთან პროპორციულად იზრდებოდეს. ეს საშუალებას მოგცემთ სწორად აუღოთ ალღო მას, ადვილად მიაგნოთ მის სფეროზე ყველა საჭირო წერტილს, რაც შემდეგ კარგ სამსახურს გაგიწევთ ოსტატობის დახვეწაში.

დაიმახსოვრეთ, თქვენს ასაკში მიზანშეუწონელია ტაქტიკურ მონახაზებსა და სისტემებზე ფიქრი, მრავალსვლიან კომბინაციებზე თავის მტვრევა. ყველაფერი ეს მოგვიანებით დაგჭირდებათ. ახლა კი ეცადეთ თანაბარი ძალით ითამაშოთ მოედნის ყველა მონაკვეთზე, მოასწროთ დროული გადაადგილება და, რაც მთავარია, არასოდეს უღალატოთ ფეხბურთის ანბანს — მოწინააღმდეგის

მოტყუებას და ბურთის კარში გატანას. გადაცემისას ნუ დაელოდებით სხვის კარნახს. ბურთი მაშინ მიაწოდეთ, როცა საკუთარი ალღო გიკარნახებთ, ბრმად ნუ მიბაძავთ ოსტატებს.. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ისე ბევრია კეთილმოწყობილი მოედანი, მაგრამ ნუ დაელოდებით მათ მომრავლებას, რადგან ფეხბურთშიც, ისევე, როგორც ყველაფერში, ყოველი წუთი ძვირფასია. ითამაშეთ, როცა მოგესურვებათ და ყველგან, სადაც კი ამის შესაძლებლობაა. ოღონდ ივარჯიშეთ და იასპარეზეთ გაკვეთილების მომზადების შემდეგ.

ალბათ შემეკითხებით, შეიძლება თუ არა ცხელ ამინდში თამაში? შეიძლება, ოღონდ იმ პირობით, თუ საკუთარ სუნთქვას დააკვირდებით. როცა შეატყობთ, რომ პირველი სუნთქვის შემდეგ მეორე სუნთქვაც გაგეხსნათ, „მეორე სიჩქარე ჩართეთ", თამაში განაგრძეთ, თუ არა და 5-10 წუთის შემდეგ შეწყვიტეთ.

ახლა ვარჯიშსაც შევეხოთ.

უბურთოდ ვარჯიშის ერთ-ერთი ჩინებული სახეა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. სპორტის იმ სახეობებიდან, რომლებსაც თქვენი ასაკისათვის ითვალისწინებს მშდ კომპლექსი, განსაკუთრებით გამოვყოფ სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომას და სირბილს. ისინი დიდად უწყობენ ხელს მოზარდის ფიზიკურ წრთობას, ამასთან, მომავალ ფეხბურთელსაც კარგ სამსახურს უწევენ.

თქვენს შორის, ალბათ, ბევრი კითხულობს ყოველკვირეულ ჟურნალ „ფუტბოლ-ხოკეიში" დასტამბული წერილების სერიას, — „პელეს გაკვეთილებს", სადაც „ფეხბურთის მეფე" დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სისწრაფეს. მშდ კომპლექსი კი თქვენი ასაკის ბავშვებისათვის სწორედ 60 მეტრზე სირბილს ითვალისწინებს. ეს ის წმინდა, ეგრეთ წოდებული „საფეხბურთო დისტანციაა", რომელსაც ფეხბურთელების წვრთნის ყოველდღიური რეჟიმი ითვალისწინებს.

ასევე დიდი ყურადღება უნდა დაუთმოთ სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომებს. მეკარეზე რომ არაფერი ვთქვათ, აბა, დაუკვირდით მცველებსაც და თავდამსხმელებსაც რა ხშირად სჭირდებათ ორთაბრძოლის დროს მხტომელებისათვის მიბაძვა.

არა თუ სპორტსმენისათვის, ყველა ადამიანისათვის აუცილებელია დილის გამამხნევებელი ვარჯიშის ჩატარება. შინიდან სკოლაში და სკოლიდან შინ აუცილებლად ფეხით იარეთ. საცხოვრებელ სახლში თუ ლიფტი გაქვთ, ნუ გამოიყენებთ მას. რბენით აიარეთ კიბე. ამასთანავე ეცადეთ, ცვალოთ საფეხურების ინტერვალი. როცა თბილისის „დინამოს" მწვრთნელი ვიყავი, ზოგჯერ ფეხბურთელებს საგანგებოდ ვავარჯიშებდი სტადიონის ტრიბუნებზე. ისინი მსუბუქ კროსს ტრიბუნებზეც, სკამების რიგთა შორისაც ატარებდნენ, ზევითქვევით ხტუნვით. ეს მოძრაობა ფეხებსა და ტორსის ბევრ კუნთს ავარჯიშებს.

რაც შეეხება ბურთით ვარჯიშს, თვითმიზნურად ნურასოდეს გაიხდით მის ადგილზე კენწვლას, ეცადეთ მოძრაობაში დაიმორჩილოთ იგი. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დღეს, ალბათ, თქვენც ამჩნევთ, რომ ჩვენს ფეხბურთელებს არ უჭირთ ბურთის ადგილზე ფლობა, სწრაფი მოძრაობისას კი საკმაოდ ეძნელებათ ეს. ამის ბრალი სწორედ ის არის, რომ მათ თვითმიზნურად აქვთ გადაქცეული ადგილზე „ჟონგლიორობა". ვარჯიშის თუ თამაშის დროს ბურთთან არამც და არამც დაძაბულად არ უნდა იყოთ: გახსოვდეთ, მას მხოლოდ „მსუბუქი ფეხი" იმორჩილებს.

ასე თუ ითამაშებთ ფეხბურთს, თქვენი მონდომება კარგ ნაყოფს გამოიღებს — მალე მოხვდებით ქუჩებისა და ეზოების ნაკრებ გუნდებში, სპეციალურ საფეხბურთო სკოლებში, მერე ოსტატთა შორის... ჩვენც, ძველმა ფეხბურთელებმაც ასე განვლეთ გზა, ვიდრე ხალხით სავსე ტრიბუნების წინ მოგვიწევდა გამოსვლა და მქუხარე ტაშს დავიმსახურებდით. ასე იქნებით თქვენც, თუ არასოდეს უღალატებთ ბურთსა და მწვანე მოედანს.

გიყვარდეთ ფეხბურთი!

**გ. ჯეჯელავა,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი.



# ✤ ა რ ა კ ე ბ ი ✤

## ლომი და აქლემი

ლომი და აქლემი დავობდნენ.

— ნილოსი ტბაში ჩადის,—ამბობდა ლომი.

— არა, ზღვაში,—ჯიუტად გაიძახდა აქლემი.

გაბრაზდა ლომი, დაჰკრა თათი და ხერხემალი ჩაუზნიქა. იმ დღიდან აქლემს ზურგი მრუდე აქვს.

გავიდა ხანი. აქლემი და ლომი ისევ შეხვდნენ ერთიმეორეს.

— მოგირჩა ზურგი? — ჰკითხა ლომმა.

— არა, ზურგი მრუდე დამირჩა, — მიუგო აქლემმა, — მაგრამ ნილოსი მაინც ზღვას ერთვის. ზურგის გამრუდება კიდევ შეიძლება, სიმართლეს კი ვერ გაამრუდებ, თუმცა მეფე ხარ.



## მწვერვალი და გორაკი

მწვერვალს მეხი დაეცა და გორაკი აცახცახდა:

— მეც მეშინია.

— დამშვიდდი, მეხი მხოლოდ იმ მწვერვალს ხვდება, რომელიც ცასთან ახლოს არის, — გადმოსძახა მწვერვალმა.



## გლეხკაცი და ღვარძლი

გლეხკაცი ჯეჯილს სარეველებისაგან ასუფთავებდა. ერთი ღვარძლის ღერო შეირხა და ღვარძლიანად გადმოსძახა:

— რას ჰვერჩი, ვილაცა ხარ? პურს რომ ტოვებ და მე მგლეჯ, ხომ ხედავ, ერთ მიწაზე ვიზრდებით?!

— ერთ მიწაზე იზრდებით, მაგრამ ერთს სიცოცხლის წყარო ამოგაქვთ მეორეს კი — შხამი, — მიუგო გლეხმა და სარეველა ძირფესვიანად ამოგლიჯა.



## ბუ და კაჭკაჭი

კაჭკაჭი ჩიოდა:

— ჩემი დღე და მოსწრება ენას არ ვაჩერებ და მაინც არავინ მისმენს.

— ენას რომ დაიმოკლებდე, უფრო მოგისმენენ,—მიუგო ბუმ.



## გამთენებელნი ღამისა

თაგვსა ჰკითხეს: „რას დაცუნცულებ ამ შუაღამეში?"

„ბუს ვალვიძებ".

ბუს ჰკითხეს: „შენ რა გაკივლებს ამ წკვარამ ღამეში?"

„მამალს ვაღვიძებ".

მამალს ჰკითხეს: „შენ რაღა გაყივლებს, უძილობა გაწუხებს?"

„არა, მზეს ვაღვიძებ".

„ეს ყველაფერი მართალია, — თქვა შაშვმა, მაგრამ ქვეყნად რომ თაგვი, ბუ და მამალი არ ყოფილიყვნენ, მზე არ ამოვიდოდა?"

**აკაკი გელოვანი.**





# ჭადრაკი

განყოფილებას ხელმძღვანელობს

**შოთა ინწკირველი.**

## დახურული პოზიცია

## ნაადრევი როქი

როგორც უკვე ვთქვით წინა წერილში, ღია პოზიციაში როქის დაყოვნება სახიფათოა, დახურულ პოზიციაში კი როქის გადადება ზოგჯერ სასარგებლოცაა, რათა ნაადრევად არ გამოჩნდეს მეფის ადგილსამყოფელი და მოწინააღმდეგეს არ მიეცეს მისი ერთბაშად დალაშქვრის შესაძლებლობა.

ახლა შევეხოთ იმ შეცდომას, რომელსაც იმეორებენ ნორჩ მოჭადრაკეთა მთელი თაობები. ამ შეცდომის შემდეგ მეტოქე აღწევს ფლანგის დასუსტებას. ეს შეეხება ერთი მხარის მიერ როქის გაკეთებამდე და მეორე მხარის მიერ როქის გაკეთების შემდეგ f6— მხედრის g5-კუთი დაბმას. ამ დროს მეტოქის h და g პაიკები ტემპის მოგებით (კუზე დამუქრებით) იწყებენ შეტევას. ამის ნათელი მაგალითია პირველწყარო: დიუბუა-სტეინიცის პარტია. ლონდონი, 1862 წ.

აი ეს ისტორიული პარტია: 1. e4 e5 2. მf3 მc6 3. კc4 კc5 4. 0—0 მეტად ნაადრევი როქია!

4 . . . მf6 5. d3

ამ სვლით თეთრები ირჩევენ მშვიდ გაგრძელებას იტალიურ პარტიაში — „ჯოკო პიანისიმო". რთული თამაშისაკენ მივყავართ ცენტრისათვის ბრძოლას 5. c3 და 6. d4 სვლებით.

5 . . . d6 6. კg5 h6 7. კh4?

თითქოს ბუნებრივია, მაგრამ სინამდვილეში სერიოზული, შესაძლოა, გადამწყვეტი შეცდომაა. ღღეისათვის ყველასათვის ცხადი ეს ჭეშმარიტება პირველად სტეინიცმა აღმოაჩინა. სჯობდა 7კe3 ან 7. კ:f6 ლ:f6 8. მc3

7 . . . g5 8. კg3



8 . . . h5!!

სტეინიცის სვლა (თეთრების განლაგების უარმყოფელი) დაკავშირებულია ფორსირებულ შეტევასა და მატერიალურ მსხვერპლთან. h5—h4 მუქარა თეთრებს აიძულებს ითამაშონ h3 ან h4, რის შემდეგ შავები ხსნიან g ან h ხაზს. დაუკვირდით: მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ შავებს ჯერ როქი არ გაუკეთებიათ. ამიტომ მათ თამამად შეუძლიათ შეუტიონ პაიკებით, რადგან ეს არ იწვევს მეფის პოზიციის დასუსტებას.

9. h4

ჯერ ვნახოთ, რა მოჰყვებოდა შეწირვის მიღებას: 9. მ:g5 h4! 10. მ::f7



10 . . . hg!! 11. მ:d8 კg4 12. ლd2 მd4!

იმუქრება 13 . . . მe2+14. მფh1 ე:h2✕

13. მc3 მf3+!! 14. gf კ:f3 და, მიუხედავად დიდი მატერიალური უპირატესობისა, თეთრებს შამათისაგან დაცვა არა აქვთ. (ან 13. h3 მe2+ 14. მფh1 ე:h3+! 15. gf კf3✕).

ეს მთავარი ვარიანტია, რომელშიც 1900 წელს დიდმა რუსმა მოჭადრაკემ მიხეილ ჩიგორინმა (1850-1908) კნორე „გამოიჭირა“.

9 . . . კg4

მუქარაა 10 . . . მd4 თუ 10. hg h4 11. კh2 მh7! და შავების შეტევა მეტად ძლიერია. ვარიანტი ფრიად საგულისხმოა.

10. c3

იგერიებს რა 10 . . . მd4 მუქარას, ეს სვლა ამავე დროს ამზადებს ცენტრში ხაზების გახსნას, რადგან ფრთაზე შეტევას უნდა დაუპირისპირდეს ცენტრში კონტრთამაში. (იხ. „პიონერი“ № 1 1974 წ.) გზადაგზა თეთრებს სურთ გადაკეტონ c5 კუს დიაგონალი.

10 . . . ლd7 11. d4 ცენტრში კონტრთამაში!

11. . . ed 12. e5 de 13. კ:e5 მ:e5 14. მ:e5 ლf5!

სტეინიცი არ ცვლის ლაზიერებს, რადგან h ხაზის გახსნის შემდეგ ის მეფეზე შეტევისათვის დასჭირდება.

15. მ:g4 hg 16. კd3 ლd5 17. b4- 0—0 — 0!!

ასეთ პოზიციებში—ორმხრივი მუქარებით — (იხ. „პიონერი“ № 5 1974 წ. „როქი სხვადასხვა მხარეს“) დრო გაცილებით ძვირად ფასობს, ვიდრე მატერია.

ღია h ხაზი მაგნიტივით იზიდავს შავ ეტლებს. ცენტრი გაიხსნა და შავ მეფეს მყუდრო თავშესაფარი სჭირდება.

18. c4 ლc6 19. bc ე:h4

მუქარაა 20. ეd—h8 და თუ მაშინ 21. f3 g3 22. კf5+ ეს სვლა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამიტომ განდევნეს მე-18 სვლაზე თეთრებმა შავი ლაზიერი. მაგრამ საქმეს ესეც ვერ შველის 22 . . . ლe6!! გამო.

20. f3 ეd—h8 21. fg ლe8!

ახლა ორსვლიანი შამათის მუქარაა. 22. ეe1 კი აგებს 22. . . ეh1+ 23. მფf2 ლ:e1+ 24. ლ:e1 მ:g4 + 25. მფe2 ეe8 + და ა. შ.

22. ლe1 ლe3+!

ჭადრაკის შემსწავლელთათვის მეტად საყურადღებო მომენტია: ცხარე შეტევისას შავები მოულოდნელად ცვლიან (წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული) ლაზიერებს, რადგან ფორსირებულად ღებულობენ მოსაგებ ენდშპილს (დაბოლოებას).

23. ლ:e3 de 24. g3 ეh1+ 25. მფg2 ე8—h2+ 26. მფf3 ე:f1+ 27. კ:f1 ეf2+ 28. მფe3 ე:f1+

დაბმა თეთრების მდგომარეობას უიმედოს ხდის. b1 მხედარი ჯერ კიდევ დებიუტში უნდა ჩაბმულიყო თამაშში. გახსოვდეთ: ნუ დააყოვნებთ ფიგურათა განვითარებას.

29. a4 მფd7

ენდშპილში თამაში ებმება მეფე! ჭადრაკის პარტია თავიდან ბოლომდე ფიგურათა განვითარება, პოზიციის გაუმჯობესებაა! სამწუხაროდ, ზოგი ამას დებიუტშივე ივიწყებს.

30. მფd3 მ:g4 31. მფc3 მe3 32. ეa2

თუ 32. მფb3, მაშინ 32 . . . g4 33. მფa2 მc2

32. . . ე:b1 33. ეd2 + მფc6 34. ეe2 ეc1+

ისევ საგულისხმო მომენტი: შავები კვლავ (გაიხსენეთ ლაზიერების გაცვლა) ელასტიკურობას იჩენენ, ისინი არ ესწრაფვიან მატერიალურ უპირატესობას — უკან უბრუნებენ ზედმეტ ფიგურას და პარტია გადაჰყავთ ადვილად (ამჯერად ადვილად!) მოსაგებ პაიკთა დაბოლოებაში.

35. მფd2 ეc2+ 36. მფ:e3 ე:e2✕ 37. მფ:e2 f5

მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტი და დიდი მოაზროვნე არონ ნიმცოვიჩი (1886—1935) თავის კაპიტალურ ნაშრომში, „ჩემი სისტემა“ ისეთ პაიკს, რომლის ვერტიკალზე არ დევს მოწინააღმდეგის პაიკი, „კანდიდატს“ უწოდებს, ე. ი. გამსვლელ პაიკად გახდომის კანდიდატს, და გვირჩევს უპირველეს ყოვლისა სწორედ ასეთი პაიკი გავწიოთ წინ. ახლა შავები ამზადებენ— f5—f4 სვლით—დაშორებული გამსვლელი პაიკის შექმნას, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის მეფის მოცილება ბრძოლის ადგილიდან.

38. მფe3 მფ:e5

f5—f4 არ არის საჩქარო!

39. მფd3 f4 აქ დიუბუა, როგორც იქნა, დანებდა.

პოზიცია № 6



თეთრები იწყებენ და იგებენ.

ბავშვებო, პასუხთან ერთად მოგვწერეთ თქვენი სურვილები და შენიშვნები. გამოგვიგზავნეთ თქვენი პარტიები (ან პოზიციები) თქვენივე კომენტარებით.



განყოფილება მიჰყავთ გ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საყოფაცხოვრებო ესთეტიკის კაბინეტის პედაგოგებს მერი ტაბიძესა და ლეილა ახობაძეს.

## ქსოვა

გაკვეთილი მე-16

### მამაკაცის პერანგი („საროჩკა“)

პერანგის მოსაქსოვად საჭიროა 550 გრ შალის ძაფი, 2 ცალი ჩხირი №№ 2—$2\,^1/_2$.

ქსოვის სახეები: 1. რეზინი; 2. წინდისებური ნაყში.

ზურგის მოსაქსოვად № 2 ჩხირებზე აკრიფეთ 140 თვალი და მოქსოვეთ 15 სმ. რეზინი 1×1-ზე, შემდეგ განაგრძეთ ქსოვა № $2\,^1/_2$ ჩხირებით წინდისებური ნაყშით და მოქსოვეთ 28 სმ. იღლიასთან დახურეთ 4 თვალი, 2,2 და 3-ჯერ თითო თვალი. განაგრძეთ ქსოვა და მოქსოვეთ 16 სმ ნაყშის მიხედვით. მხრისათვის გათვალისწინებული თვლები დაუშვით თანდათანობით 7×7. საყელოსათვის გადახურეთ 40 თვალი.

წ ი ნ ა  მ ხ ა რ ე. — პირველად მოქსოვეთ მარჯვენა ნაწილი. ამისათვის № 2 ჩხირებზე აკრიფეთ 72 თვალი, მოქსოვეთ 15 სანტიმეტრი რეზინი 1×1-ზე. განაგრძეთ ქსოვა № $2\,^1/_2$ ჩხირებით. რაც ასე ხდება — — მოქსოვეთ ათი თვალი რეზინი 1×1-ზე, დანარჩენი 62 თვალი კი წინდისებური ნაყშით (10 თვალი რეზინი იქნება თამასა, რომელზედაც დააკერებთ ღილებს), როდესაც მოქსოვთ 28 სანტიმეტრის სიმაღლეზე, დაიწყეთ იღლიის გამოყვანა. იღლიასთან გადახურეთ 2-ჯერ 2-2 თვალი, 5-ჯერ თითო თვალი. მოქსოვეთ 13 სმ. წინა მხარეს, სადაც ქსოვდით რეზინს 1×1-ზე, თანმიმდევრობით გადახურეთ 10 თვალი და გააკეთეთ საყელოს ამოსაღები ადგილი. შემდეგ კი, როდესაც მოქსოვთ 16 სმ-ს იღლიის მხრიდან, დაიწყეთ მხრის გამოყვანა, ისევე, როგორც ზურგის მხარეს.

წინა გულის მარცხენა ნაწილი იქსოვება ისევე, როგორც მარჯვენა, მხოლოდ განსხვავებით მარცხენა თამასაზე 6-7 საღილე კეთდება. მათ შორის მანძილი 6 სმ-ია.

ს ა ხ ე ლ ო. — სახელოს მოსაქსოვად № 2 ჩხირებზე აკრიფეთ 60 თვალი და მოქსოვეთ 8 სმ რეზინი 1×1-ზე. შემდეგ ქსოვა განაგრძეთ წინდისებური ნაყშით № $2\,^1/_2$ ჩხირებით. ორივე მხარეზე უმატეთ 30-ჯერ თითო თვალი ყოველი 5 რიგის შემდეგ. მოქსოვეთ 40 სმ და დაიწყეთ სახელოს გამოყვანა. იღლიასთან გადახურეთ ორივე მხარეზე 4-4 თვალი, შემდეგ 2-ჯერ 2-2 თვალი, 29-ჯერ თითო თვალი. 5-ჯერ 2-2 თვალი, 2-ჯერ 3-3 თვალი. დარჩენილი თვლები მოქსოვეთ 2-2 თვალი ერთად და გადახურეთ.

ს ა ყ ე ლ ო. — საყელოს მოსაქსოვად ჩხირებზე აკრიფეთ 90 თვალი და მოქსოვეთ რეზინი 1×1-ზე № 2 ჩხირებით. 4 სმ-ს რომ მოქსოვთ, შემდეგ დაიწყეთ თვლების მატება, საყელოს ორივე მხარეზე ე. ი. მეორე და უკანასკნელი თვლებიდან მოქსოვეთ 2 თვალი, უმატეთ თვლები ყოველ მესამე რიგში. ასე ქსოვეთ მანამ, სანამ საყელოს თითოეულ მხარეზე არ მოუმატებთ 4-4 თვალს. შემდეგ მოქსოვეთ 4 რიგი ყოველგვარი მატების გარეშე და თვლები გადახურეთ თანმიმდევრობით.

პერანგის გამზადებული ნაწილები დააუთოვეთ, აკინძეთ და დააკერეთ ღილები.

## კულინარია

გაკვეთილი მე-10

### „პეჩენია“ მაიონეზით

მ ა ს ა ლ ა:

ორი კვერცხი; ჭიქანახევარი შაქრის ფხვნილი; 200 გრამი კარაქი; 1 ქილა მაიონეზი; ნახევარი ჩაის კოვზი სოდა; ერთი სუფრის კოვზი ძმარი; ნახევარი ჩაის ჭიქა ნიგოზი.

ორი კვერცხის, ჭიქანახევარი შაქრის ფხვნილისა და 200 გრ კარაქისაგან გააკეთეთ გოგლიმოგლი. დაასხით მაიონეზი, სოდა და ერთი სუფრის კოვზი ძმარი, მიუმატეთ დანაყილი ნიგოზი და ფქვილი, მიღებული მასა გაავრცელეთ, დაჭერით სასურველ ფორმებად და გაზქურაში აცხვეთ 10-15 წუთი.

### ლიმონის ტორტი

მ ა ს ა ლ ა:

5 კვერცხი; 5 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი; 5 სუფრის კოვზი ფქვილი; 3 ცალი



### „ფიზიკა მთავარი მეცნიერებაა“

ლონდონის გარეუბნის ერთ-ერთ სკოლაში ფიზიკის გაკვეთილზე მოსწავლეები ხშირად ხმაურობდნენ. მასწავლებელი იძულებული გახდა, რაიმე ეღონა. და აი, რა გამოიგონა:

გააკეთა ხელსაწყო, რომელიც ავტომატურად ზომავს ხმაურს. როცა ხმაური ნორმას გადააჭარბებს, დისკოზე წითელი ნათურა ინთება და მაგნიტოფონი სკოლის დირექტორის ხმით ალაპარაკდება: „ბავშვებო! ნუ გავიწყდებათ, რომ ფიზიკა ამჟამად მთავარი მეცნიერებაა! ჰოდა, წყნარად იყავით!“

კლასში, თურმე, უმალვე სიჩუმე ჩამოვარდება.

### ზესავარძელი

ერთმა ამერიკელმა დიზაინერმა (დიზაინერი — მხატვარი-კონსტრუქტორია, რომელიც აპროექტებს თანამედროვე, მყუდრო, ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელ საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო ანსამბლებს, ავეჯს, ყოველდღიურ სახმარ ნივთებს და ა. შ.) შექმნა საინტერესო ორადგილიანი სავარძელი. მის კიდეებში ჩადგმულია ტელევიზორი, მაგნიტოფონი, ტელეფონი, რადიომიმღები, საათი, საფერფლე, წყვილი ნათურა და დასვენებისათვის აუცილებელი სხვა მრავალი მოწყობილობა. სავარძლის მიტრიალ-მოტრიალება და გადაადგილება ხდება ჰიდრავლიკური ბერკეტით.



### რეკორდსმენი რობინზონი

როცა 1888 წელს თორმეტი წლის ობოლი ბიჭი გემიში პორტუგალიის წყნარ კუნძულზე (სეტუბალის ყურეში) მოხვდა, სულაც არ ფიქრობდა, რომ მთელ თავის სიცოცხლეს იქ გაატარებდა. მაგრამ უკაც-

ლიმონი; 1 ქილა შესქელებული რძე; 400 გრ. კარაქი.

### მომზადების წესი.

თქვიფეთ კვერცხის ცილა 10 წუთის განმავლობაში, მიუმატეთ 5 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი და თქვიფეთ ხუთი წუთი. დააწურეთ ერთი ცალი ლიმონი და ჩაასხით კვერცხის გული, თქვიფეთ 15 წუთი, დააყარეთ ფქვილი, მოურიეთ ფრთხილად, ჩაასხით ყალიბში და შედგით გაზქურაში გამოსაცხობად.

### კრემი ტორტისათვის

400 გრ. კარაქი თქვიფეთ გათეთრებამდე, მიუმატეთ ერთი ქილა შესქელებული რძე წვეთობით და თქვიფეთ განუწყვეტლივ — დააწურეთ ერთი ცალი ლიმონი, თქვიფეთ 10 წუთის განმავლობაში. გამზადებული კრემი 5 წუთით შედგით მაცივარში.

გამომცხვარი ბისკვიტი გაჭერით 2 ნაწილად, თითოეულ ნაწილს მოასხით სიროფი, ზემოდან და გვერდებზე წაუსვით კრემი სურვილისამებრ და შეაერთეთ. სასურველია ტორტი მორთოთ ლიმონის თხელი ნაჭრებით.

სიროფი ტორტის მოსასხურებლად შემდეგნაირად მოამზადეთ: აიღეთ 1 თლილი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი და 8 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, დააწურეთ 1 ლიმონის წვენი, მოურიეთ და გააცივეთ. სიროფი მზად იქნება გაცივების შემდეგ.

შენიშვნა: თუ ნამცხვარი მომჟავოა, შეგიძლიათ 8 ცალის ნაცვლად გამოიყენოთ 2 ცალი ლიმონი.



ძაბრისა და ჭურჭლის ყელს შორის დატანებული პლასტმასის წვრილი მილაკი ჭურჭელში მომწყვდეულ ჰაერს გაატარებს და სითხე ძაბრიდან აღარ გადმოიღვრება. ცხადია, ეს საშუალება მაშინ უფრო გამოდგება, როცა ძაბრს სისტემატურად ხმარობთ ხოლმე. თუ არა და, ძაბრსა და ჭურჭლის პირს შორის ქაღალდ . ნაკუწიც რომ დაუტანოთ, ისიც საკმარისია.

როცა ხალიჩას კედელზე ჰკიდებენ, ზედა კუთხეებში რგოლებს ან მარყუჟებს უკეთებენ. მაგრამ ხალიჩის ასე გაკვრა არ გამოდგება, რადგან იგი აუცილებლად ჩამოიჩაჩება. თუ გინდათ ხალიჩა კედელზე სწორედ გაჩერდეს, ზედა ბოლოში თხელი მავთული ააუყარეთ და კედელში ჩამაგრებულ ლურსმანზე ეს მავთული გაჭიმეთ.

როცა რაიმე დეტალი შიგნიდან გინდათ გამოქლიბოთ, ურიგო არ იქნება თუ ელექტრობურღში მრგვალ ქლიბს ჩაამაგრებთ და იმით იმუშავებთ.

კაპრონის თუ აბრეშუმის ზონარი იოლად გაიხსნება ხოლმე. დააკვირდით ამ ნახატს, ზონარი ასე შეკარით და იგი თავისით აღარასოდეს გაიხსნება.

ფარდულზე ან გარაჟზე დადებული ბოქლომი წვიმამ რომ არ დაჟანგოს, ან ყინვამ არ ჩაყინოს, სკეტ რკალზე რეზინის რგოლები ჩამოაცვით.



კარს, რაც არ უნდა მძიმე იყოს იგი, იოლად ჩამოკიდებთ, თუ ღილკილოს თითს ხუთიოდე მილიმეტრით გადაქლიბავთ.









რიელ კუნძულზე თავისუფალი და უშფოთველი ცხოვრება ძალიან მოეწონა და გადაწყვიტა იქედან არ წასულიყო. მას შემდეგ 86 წელი გავიდა, გომიშ ჟერმინალდიში კი ისევ კმაყოფილია თავისი გადაწყვეტილებით.

ყოველ ათ წელიწადში ლისაბონიდან მასთან სტუმრად მიდიან სოციოლოგები, განდეგილს უმასპინძლდებიან ლორით, ტკბილეულობით, ღვინით... ამით მათ არსებითი მრავალფეროვნება შეაქვთ გომიშის მენიუში, რომელიც შედგება ფესვების, ბალახის, თევზის, კურდღლის ხორცის, თაფლის, კენკრისა და წყაროს წყლისაგან. მადლიერების ნიშნად, ჟერმინალდიში სტუმრებს სთავაზობს ახალ თავებს თავისი წიგნიდან— „მე რობინზონს მეძახიან“.

გომიში ხშირად ამბობს: „ჯერ არც ერთ ადამიანს არ გამოუცდია ესოდენი სიმშვიდე. ჩვენი საუკუნე განთქმულია ომებით, სატრანსპორტო პრობლემებით, გარემოს გაჭუჭყიანებით. მე კი, მადლობა უფალს, დაცული ვარ ყოველივე ამისაგან“.

### საკუთარი ხელწერა არ გააჩნია

უკვე 45 წელია; ლოსანჟელესელი ჯეიმს კუინი ყალბი ხელმოწერის კეთებით ცხოვრობს. სამართალში კი ერთხელაც არაა მიცემული. რაშია საქმე? ყველამ იცის, რამდენ დიდი დრო ეხარჯებათ (კინოვარსკვლავებსა და სხვა ცნობილ პიროვნებებს ავტოგრაფების გაცემაზე.) ეს მძიმე და გულისგამაწყალებელი საქმე მისტერ კუინმა იტვირთა. მას 1700 ავტოგრაფი ახსოვს და გარკვეული გასამრჯელოსათვის მათ მსურველებს ურიგებს. (გასამრჯელოს, ცხადია, „ვარსკვლავები“ უხდიან). საინტერესო ის არის, რომ კუინი თვითონ გახდა ცნობილი პიროვნება და მასაც სთხოვენ ავტოგრაფებს, მას კი საკუთარი ხელმოწერა არ გააჩნია.



### ქალაქი ქალაქში

მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში ნიუ-იორკში მალე გაჩნდება კიდევ ერთი „ქალაქი“ — აილენდტაუნი. მისი თავისებურება ის იქნება, რომ იქ ვერ იჭაჭანებენ ავტომანქანები — სასტიკად აიკრძალება კერძო ავტომობილების შესვლა. მცხოვრებლებისათვის იმუშავებენ ეგრეთ წოდებული „მონიაბუსები“. ნიუ-იორკის სხვა რაიონებში მისვლა-მოსვლისათვის მათ განკარგულებაში იქნება ხიდები, საბაგირო გზები და მეტროს ხაზი.

# შინ ვარჯიში



კლასიდან კლასში გადასვლასთან ერთად იზრდება გაკვეთილების სირთულე, უფრო მეტი დრო სჭირდება საშინაო დავალებათა მომზადებას, ამასთან, ვთქვათ გულწრფელად, ბევრი თქვენგანი საათობით უზის ტელევიზორს. ასე რომ, ნებით თუ უნებლიეთ, თქვენ გაცილებით ნაკლებს მოძრაობთ, ვიდრე ეს მოზარდი სხეულისათვის არის საჭირო. უმოძრაოდ კი არ არსებობს სიცოცხლე, ზრდა, განვითარება. ამიტომ ყოველდღიური ვარჯიში ისევე აუცილებელი უნდა გახდეს თქვენთვის, როგორც ჭამა-სმა, ძილი... გახსოვდეთ — მთავარია დაწყება. შემდეგ ვარჯიშები თანდათან გაამრავალფეროვნეთ და თქვენდაუნებლიედ შეეჩვევით, სხეული, კუნთები თვითონ მოგთხოვთ მოძრაობას, ვარჯიშს.

აქ შემოთავაზებული ვარჯიშების კომპლექსი არ არის იმდენად მრავალფეროვანი, მაგრამ როცა მას კარგად აითვისებთ, შემდეგ შეგიძლიათ მოიგონოთ ახალი ელემენტები, გაიხსენოთ ვარჯიშები, რომლებიც არა ერთხელ გამოუქვეყნებია „პიონერს“. მაშ ასე, დავიწყოთ:

პირველი ვარჯიში: საწყისი მდგომარეობა—ჯოხი მოხრილი ხელებით, ჰორიზონტალურად, კეფაზე მიდებული გიჭირავთ. დაითვალეთ „ერთი-ორი“ და ხელები გამართეთ, ჯოხი მაღლა ასწიეთ. შეხედეთ მას და ჩაისუნთქეთ. თვლაზე — „სამი-ოთხი“ ხელები მოხარეთ, ჯოხი დაუშვით საწყის მდგომარეობამდე და ამოისუნთქეთ. შეასრულეთ 8-10 ჯერ.

მეორე ვარჯიში: მკერდთან მიდებული ჯოხი ჰორიზონტალურად, მოხრილი ხელებით გიჭირავთ. თვლაზე—„ერთი-ორი“ ჯოხი გამართული ხელებით თავს უკან გადაიტანეთ და ჩაისუნთქეთ. თვლაზე — „სამი-ოთხი“ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას, ამოისუნთქეთ. შეასრულეთ 6-8 ჯერ.

მესამე ვარჯიში: საწყისი მდგომარეობა — ფეხები მხრების სიგანეზე გაშალეთ. ტანი წინაა გადახრილი, ჯოხი გამარ-

## სარჩევი


ჩხეტიანი მ. — ნოემბრის ქარში (ლექსი) . . . 1
კონკურსი—ვიქტორინა „ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 50 წლისთავი . . . . . . 2
ხორგუაშვილი გ. — წითელი ხარი (მოთხრობა. გაგრძელება) . . . . . . 4
თოთაძე ა. — მომავლის მაგისტრალი (წერილი) . 11
ჯაველიძე ნ. — პროფესია შენთან ერთად ცხოვრობს (ინტერვიუ) . . . . . 12
მიქაძე ქ. — შემოდგომა რა კარგია! (ლექსი) . 15
გურგენიძე ა. — მთები (ლექსი) . . . . 15
„აისი“ . . . . . . . . 16
ალექსანდრე ყაზბეგის დაბადების 125 წლისთავი . . . . . . 18
კეჭაყმაძე გ. — გაუქმებული ბილიკი (მოთხრობა) 20
შამფრიანი მ. — ბიბლიოთეკარის ჩანაწერები 23
ჯეჯელავა გ. — გიყვარდეთ ფეხბურთი (წერილი) 26
გელოვანი ა. — იგავ-არაკები . . . 28
„მხედრიონი“ . . . . . . 28
„გამოგადგება“ . . . . . . 30
„ჯადოსნური სარკე“ . . . . . 30
„საზრიანის ხელში“ . . . . . 31
შინ ვარჯიში . . . . . . 32
„ცხრაკლიტული“ . გარეკ. . . . 3


გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა ზურაბ მეძმარიაშვილისა.


საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: სერგო კლდიაშვილი, მურმან ლებანიძე, ზურაბ ლომიძე, ზურაბ ლეჟავა (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი). ლევან ჩიქვანაია.

ჩვენი მისამართი:
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეფონები:
რედაქტორის—93-97-05
93-31-81
პ/მგ. მდივნის
93-97-08 93-53-05
განყოფილებების—93-97-02
93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 21/X-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XI-74 წ. ქაღალდის ფორმატი $60 \times 90^1/_8$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,19.
შეკვ. № 3453 ტირ. 137.070. უე 01938.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

თული ხელებით ჰორიზონტალურად გიჭირავთ. თვლაზე — „ერთი-ორი“ ხელები მოხარეთ და ჯოხი მკერდამდე მიიტანეთ, ჩაისუნთქეთ. თვლაზე— „სამი-ოთხი“ ხელები გაშალეთ და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით, ამოისუნთქეთ. შეასრულეთ 8-10 ჯერ.

მ ე ო თ ხ ე ვ ა რ ჯ ი შ ი: საწყისი მდგომარეობა— მარჯვენა ხელი ზევით გაქვთ აწეული, მარცხენა — ქვემოთ დაშვებული. ხელები იდაყვებში მოხარეთ და ზურგსუკან თითები ერთმანეთს ჩასჭიდეთ, შემდეგ, ხელების მდგომარეობა შეცვალეთ. შეასრულეთ 5-6 ჯერ.

მ ე ხ უ თ ე ვ ა რ ჯ ი შ ი: საწყისი მდგომარეობა— ორივე ხელით სკამს დაეყრდენით. (ვისაც ეს გაგიჭირდებათ — მაგიდაზე დაეყრდენით). თვლაზე— „ერთი-ორი“ ხელები მოხარეთ და ჩაისუნთქეთ. თვლაზე — „სამი-ოთხი“ ხელებზე აიწიეთ და ამოისუნთქეთ. ვარჯიშის დროს ტანი გამართული უნდა გქონდეთ.

მ ე ე ქ ვ ს ე ვ ა რ ჯ ი შ ი: საწყისი მდგომარეობა— დაწექით გულაღმა. ფეხები მუხლებში მოხარეთ და მხრების სიგანეზე გაშალეთ. ხელებით ზურგსუკან დაეყრდენით იატაკს, ჩაისუნთქეთ. ხელები და ფეხები ნელნელა გამართეთ. გააკეთეთ ეგრეთწოდებული „ხიდი“. დაყოვნდით 3-4 წამი. თანდათან დაეშვით საწყის მდგომარეობამდე. ამოისუნთქეთ. შეასრულეთ 5-6-ჯერ.

მ ე შ ვ ი დ ე ვ ა რ ჯ ი შ ი: საწყისი მდგომარეობა— წინ სკამი დაიდგით და გულაღმა დაწექით. ჩაისუნთქეთ და ხელები სკამის საჯდომს ჩასჭიდეთ; გაუშვით, გასწორდით და ამოისუნთქეთ.

მ ე რ ვ ე ვ ა რ ჯ ი შ ი: ჩაისუნთქეთ. გააკეთეთ ეგრეთწოდებული „თვითმფრინავი“. დაყოვნდით 3-4 წამი. მიიღეთ საწყისი მდგომარეობა, ამოისუნთქეთ. მერე იგივე გააკეთეთ მეორე ფეხზე დგომით. შეასრულეთ 5-6-ჯერ.

მ ე ც ხ რ ე ვ ა რ ჯ ი შ ი: დაჯექით იატაკზე, ფეხები მაგიდას ამოსდეთ. ჯოხი მხრებზე ჩამოიდეთ, ჩაისუნთქეთ, ადექით, ამოისუნთქეთ, დაწექით. შეასრულეთ 5-6-ჯერ.

მ ე ა თ ე ვ ა რ ჯ ი შ ი: ჯოხი უკან, მკლავებში გაიყარეთ და ტანი ხან მარჯვნივ ატრიალეთ, ხან — მარცხნივ. შეასრულეთ 8-10 ჯერ.











## გამოცანა

ღამით — შუბის ჭახაჭუხი,
დღისით — ცრემლის ღაპაღუპი.

შ. შუბლაძე.

აჰა, დაიძრა რიცხვების მოასპარეზე მარულა, ზოგი ჩანს მთელი სიღიდით, ზოგიც მიჰყვება ფარულად.

**1**

ორ ზეინკალს ერგება
ორას ოცი მანეთი;
პავლემ ათ დღეს იშრომა,
თორმეტ დღეს კი—არეთიმ.
ამოცანის პირობა
ასეთია, ყმაწვილო:
თითოეულს კუთვნილი
თანხა გაუნაწილო.

**2**

ძალზე ადვილ ამოცანას
მოგახსენებ, ნოდარ:
სამმა ხურომ თხუთმეტ დღეში
ააშენა ოდა.
ხუთი ხურო რამდენ დღეში
ააგებდა აბა?
სულ ეგ არი, ჩემო კარგო,
ამომიხსენ სწრაფად.

შოთა ამირანაშვილი.



## შარადა

კაეშანის სინონიმი
პირველ სიტყვად გვჭირდება,
თუ მიაგენ, მას შუადან
ერთი ბგერა სცილდება.
მორიგ კითხვად შარადისთვის
ანბანია საჭირო,
რას უწოდებ პირველ ასოს,
სახელი თქვი, ყმაწვილო.
თუ შეაერთებ ორივეს
ლექსში ჩამოთვლი რიგით,
ქართველი მწერლის გვარია,
თქვი, რომელია იგი?

ნიკოლოზ ნასუაშვილი.

## პასუხი № 10-ში მოთავსებულ „ცხრაკლიტულზე“

კროსვორდი

თ ა რ ა ზ უ ლ ა დ: 1. ბაყაყი; 3. იხვი; 4. გრიგალი; 6. ფრესკა; 7. ალტაი; 10. ელისო; 11. შარადა; 13. კოჯორი; 16. ვარიანი; 17. სოსანი; 18. აკაცია; 21. ბალზაკი; 22. დაისი; 24. სურა; 25. ბაირონი; 26. კანადა; 27. ასირია; 28. კატა; 29. დარდი; 30. კურანტი; 32. ივერია; 33. ლაბადა; 34. იმამი; 37. იარა; 39. რგოლი; 40. ბარნოვი; 41. ისინდი; 43. მიმოზა.

შ ვ ე უ ლ ა დ: 1. ბულგარეთი; 2. ყანწი; 5. პარაგვაი; 8. ირლანდია; 9. ატამი; 10.ელიავა; 12. კაბადონი; 13. კონგო; 14. ფიგარო; 15. ნანსი; 19. კალია; 20. ალკამენე; 23. ავსტრალია; 24. სალამური; 25. ბასრი; 28. კომუნისტი; 31. რეგბი; 34. ისკრა; 35. ანისი; 36. პითაგორა; 38. არგენტინა; 42. ოფოფი; 43. ლიახვი.



სოფლის სურათი.

რეზო ჩაჩხიანი. ქუთაისის 30-ე საშუალო სკოლა. I კლ

მოცეკვავე გოგონა.



ელენე თურქია.

კლოუნი. ციური გიგოლაშვილი.
თბილისის 65-ე საშუალო სკოლა. VI კლასი.

